გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 38
(11 495)

18 – 21 მაისი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

ჩვენს სპორტულ სამყაროში

„ლელოს“ ნომრიდან – ნომრამდე

თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ, დამკვიდრებული წესისამებრ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ სპორტის ამ სახეობაში ნიჭიერი თაობა წამოვიდა, რომელსაც ძალუძს სასახელო ტრადიციები დაუბრუნოს ქვეყანას. ნაკრებში თამამად, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ საერთაშორისო პირველობებში მიღებული გამოცდილებით და მიღწეული წარმატებებით მოვიდა ოთხი ზრდადასრულებული ათლეტი ალექსანდრე კუნჭულია (54 კგ), ირაკლი ჭოჭუა (58), ალექსანდრე დოხტურიშვილი (69) და რამაზ ნოზაძე (97). შეგახსენებთ, რომ დოხტურიშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა პირველი მოჭიდავეა, ვინც 17 წლის შემდეგ მოიპოვა ეს საპატიო წოდება დიდებში, ჭოჭუამ კი, იქვე, სტამბულში მესამე პრიზიორი გახდა. გიორგი ჯინჭველაშვილი (76) მეოთხე იყო, მუხრან ვახტანგაძე (85) — მეხუთე, მირიან გიორგაძე (მძიმე) — მეშვიდე. გუნდურ ჩათვლაში თურქეთისა და რუსეთის ნაკრებების შემდეგ საქართველოს წარმომადგენლები მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ და საპატიო თასი მოიპოვეს.

გრძელდება საქართველოს „უნივერსიადა 2001“-ის და თბილისის მოსწავლეთა I სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები, რამაც საგრძნობლად გამოაცოცხლა სასკოლო და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული მუშაობა. სამაგიეროდ, ერთი ორი ბედნიერი გამონაკლისის გარდა, მთლიანად ჩამკვდარია ფიზიკური აღზრდის პროცესი და სპორტული მუშაობა კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში, რასაც, სამწუხაროდ, ქვეყანა დღემდე ურიგდება და არავინ ითხოვს დებულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას. არადა, არასახელმწიფო სასწავლებელი საქართველოში 214-ია.

ჩვენს სპორტულ სამყაროში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია „საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის“ მიერ თავისი ლატარიების გათამაშების გაუქმებამ. უცხოური ინვენსტორების ხელშეწყობით ფეხზე დაყენებული საქმე კვდება, რაც დამატებით 25 პროცენტით ბიუჯეტის სასარგებლოდ მოსაკრებლის გაზრდამ გამოიწვია. გუშინ შევიტყვეთ, რომ სამშაბათს, 22 მაისს, ამასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნულ ფონდს პრესკონფერენციის ჩატარება აქვს განზრახული.

საქართველოს თასი

4

მიმოხილვა

6

პორტუგალიის სუპერთასს „სპორტინგი“ დაეუფლა...

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში



საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია 18, 19, 20 მაისს მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის სასახლეში ატარებს ტრადიციულ საერთაშორისო კონკურსს სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში

«კავკასიის თასი» 2001

მონაწილეობენ: საქართველოს, ავსტრიის, გერმანიის, ისრაელის, რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის საუკეთესო მოცეკვავე წყვილები. *დასაწყისი* 11 და 17 სთ-ზე.

„კავკასიის თასი“ – ქართველ კარატისტებს

4

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

საფრანგეთის „ოლიმპიკის“ თავდამსხმელმა ლიბერიელმა ჯორჯ ვეამ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „მონაკოსთან“. ვეა სწორედ იმ კლუბს დაუბრუნდა, სადაც 10 წლის წინათ თავისი კარიერა დაიწყო ევროპაში.

ჯორჯ ვეა



იან კოლერი

ბელგიის ჩემპიონი „ანდერლეხტი“ დათანხმდა, ინგლისის „ფულხემს“ მიყიდოს თავისი საუკეთესო ფეხბურთელი იან კოლერი.

გუშინ უკრაინის ნაკრები ამხანაგურ მატჩში შეხვდა კიევის „დინამოს“. 2-0 გაიმარჯვა ნაკრებმა.

ბრაზილიის ნაკრებმა დაკარგა პირველი ადგილი ფიფას რეიტინგში. „ფეხბურთის ჯადოქრებმა“ წინ გაუშვეს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები.



3

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 3 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 8 თვე და 21 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

ოლიმპიური აკადემიის სესია გორში

ოლიმპიური აკადემია, ოლიმპიური იდეალების გავრცელების ძირითადი დასაყრდენია ყველა ქვეყანაში. საქართველოში აკადემიის 10-წლიანი ისტორიის განმავლობაში იმდენი გაკეთდა, ჩვენი აკადემია თამამად გაუტოლდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების აკადემიებს.

ამ დღეებში გორში, აკადემიის შიდა ქართლის ფილიალთან ერთად ჩატარდა სესია, რომელზედაც მრავლად იყო წარმოდგენილი თემატური მოხსენებები. კერძოდ, მოხსენებით გამოვიდნენ გ. ხაჩიძე, ა. იაშვილი, გ. პაპიტაშვილი, პ. იაშვილი, ს. ვაშაკიძე (ყველა — გორის სახ. უნივერსიტეტი), რ. ქობულაძე (ქუთაისის სახ. უნივერსიტეტი), ა. ციბაძე და დ. კინწურაშვილი (საქ. ოლ. აკად).

სესიის მონაწილეებს ქუთაისის ცნობილი სპორტული მუზეუმისა და იმერეთის რეგიონში ოლიმპიზმის პროპაგანდაში გამოცდილებაზე ესაუბრა მუზეუმის დირექტორი ზ. ჯავახაძე.

სესიამ შეიმუშავა რეკომენდაციები.

მძლეოსნობა **აჭარის ღია პირველობა**

ბათუმში ვუნდერკინდი გამოჩნდა

ვუნდერკინდს საოცარ, არაჩვეულებრივი ნიჭის ბავშვზე იტყვიან. ასეთები სპორტში გამობრწყინდებიან ხოლმე და უმალვე იპყრობენ სპეციალისტთა ყურადღებას. შევიტყვეთ თუ არა, რომ აჭარაში გამოჩნდა ყმაწვილი, რომელიც ჯერ მხოლოდ 54 კგ-ს იწონის და თავის წონაზე ორჯერ მეტ წონას სძლევს, უმალვე ტელეფონით დავუკავშირდით აჭარის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს თენგიზ ბოლქვაძეს. რომელმაც, არათუ დაგვიდასტურა, ზუსტად დაგვისახელა ამ ნიჭიერი ბიჭის მიერ სულ ახლახან დაძლეული წონები: ატაცი — 90, აკვრა — 105 კგ. ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი. ახლა მთავარია, ნიჭიერი მოზარდის შემდგომი დაოსტატება აუჩქარებლად, მაგრამ მიზანმიმართულად წარიმართოს, რასაც აკეთებენ კიდეც ზაზა აბულაძის პირადი მწვრთნელები აბესალომ ბასილია და ქაზიმ ქავთარაძე, რომელიც ამავე დროს აჭარის ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიცაა. შევეხმიანეთ საქართველოს ჭაბუკთა (16 წლამდე) ნაკრების უფროს მწვრთნელს ზურაბ ანთაურს, რომელმაც დაგვიდასტურა ამ 15 წლის ჩაქველი ძალოსნის საოცარი მონაცემები და დასძინა, რომ უკვე 6 თვეა, რაც ეს მოსწავლე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატია და მასზე დიდ იმედს ამყარებს.

ახლა ახალგაზრდებს შორის აჭარის ღია პირველობის შესახებ. შეჯიბრებაში, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების 56-ე წლისთავს მიეძღვნა, ბათუმის, ხელვაჩაურის და ჩაქვის ათლეტები მონაწილეობდნენ. ორჭიდის ჯამში შედეგების მიხედვით გამარჯვებულები და პრიზიორები არიან: **38 კგ.** ვაჟა ქავთარაძე — 57 კგ (ხელვაჩ.) — 1 მონაწილე. **40 კგ:** გურამ გოგიტიძე — 85, გია ქობულაძე — 80, ზურაბ გოგრაჭაძე (სამივე — ჩაქვი) — 75; **54 კგ:** ზაზა აბულაძე — 170, ნუგზარ ჯინჭარაძე — 135, ოლეგ ჭაღალიძე (სამივე — ჩაქვი) — 130; **64 კგ:** კახა კეკელიძე (ჩაქვი) — 170 (1 მონაწ); **69 კგ:** რ. ქავთარაძე — 195 (ხელვაჩ.), ირაკლი თურმანიძე — 190, ანზორ ზოიძე (ორივე — ჩაქვი); **72 კგ:** სულხან დუმბაძე (ჩაქვი) — 1 მონაწ; **85 კგ:** ირაკლი ზოიძე — 215 (ჩაქვი) — 1 მონაწ; **+85 კგ** — გიორგი ბეჟანიძე — 215 (ჩაქვი) — 1 მონაწ.

„ლელოს“ კორ., ბათუმი.

თბილისის მოსწავლეთა I სპორტული თამაშები

ძალოსნობაში შედეგები იმდენად დაბალია, გამოსაჩენად არ ჩათვალეს...

ძალოსნობა სპორტის ის სახეობა არ არის, მოსწავლეთა კონტიგენტი რომ ინტერესით ეტანება. დაბალი შედეგებიც ამით უნდა აიხსნას. ძალოსნობის სექციები ყველგან როდია დანერგილი ბავშვთა სპორტულ სკოლებში, თამაშებში ჩასათვლელი ქულების მიღება კი ყველას სურდა და, რა გასაკვირია, რომ შედეგი სირცხვილით გამოსაჩენი ნამდვილად არ არის. ორგანიზატორებისთვის მთავარია, მონაწილეობა და საერთო მონაპოვარში ქულების მიმატება. ასე სპორტის ეს სახეობა ვერ განვითარდება, ცვლა ვერ გაიზრდება, ერთმანეთის მოტყუება ხომ წესად იქცა. თუ რა ფასი აქვს ასეთი შეჯიბრების შეტანას მაღალფარდოვანი რანგის ასპარეზობის (თამაშების) პროგრამაში, მკითხველმა თავად განსაჯოს. არადა, თავის დროზე მოსწავლეთა სპარტაკიადებიდან წამოვიდნენ კახი კახიაშვილი, გიორგი ასანიძე, ალეკო ნოზაძე, გიორგი კობალაძე...

ზემოხსენებულ თამაშებში ერთადერთი, ვინც საიმედო შედეგი აჩვენა, მძიმეწონოსანი ნუკრი ვაშაკიძეა, რომელმაც 132,5 კგ აკრა და 157,5 კგ აიტაცა. „ამ შედეგით ევროპის ჭაბუკთა თამაშებში, რომელიც წლეულს აგვისტოში ავსტრიაში გაიმართება, ნუკრის, წარმატების იმედი უნდა გვქონდეს“ — ამბობს მისი და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი ზურაბ ანთაური.

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა I სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ხელბურთელთა ასპარეზობა. ბიჭებში პირველობა მოიპოვა გლდანი-ნაძალადევის გუნდმა (სპორტული სკოლის დირექტორი გივი აბჟანდაძე), მეორე იყო ვაკე-საბურთალოს, მესამე — დიდუბე-ჩუღურეთის წარმომადგენლები.

გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ვაკე-საბურთალო (სპ. სკოლის დირექტორი — შალვა ბერიძე), 2. ნაძალადევი — გლდანი, 3. ისანი — სამგორი.

რობერტ გაგოიანის ფოტოები

46 კგ: გ. სიდამონიძე (გლდანი-ნაძალ.), რ. დარბინიანი (დიდუბე-ჩუღურ) ა. სუკასიანი (ვაკე-საბ.); **52 კგ:** კ. გახარია (ვაკე-საბ), დ. ოსიპოვი (ისანი-სამგ), მ. ადლოიანი (დიდ — ჩუღ); **56 კგ:** გ. ჩხუბიანიშვილი (დიდ-ჩუღ), ბ. რომიშვილი (გლდ-ნაძ), ჯ. ციხელაშვილი (ვაკე-საბ); **64 კგ:** ა. მელაძე (გლდ-ნაძ), ი. გოჩიშვილი (ისანი-სამგ) — 2 მონაწილე; **70 კგ:** ა. კილაძე (დიდ-ჩუღ) — 1 მონაწ.; **76 კგ:** გ. ბეჟიტაშვილი (გლდ-ნაძ), ა. ჭიტაძე (დიდ-ჩუღ) — 2 მონაწ.; **83 კგ:** გ. კიკოლიაშვილი (ისანი-სამგ), ბ. მგალობლიშვილი (მთაწმ-კრწანისი) — 2 მონაწ.; **+83 კგ:** ნ. ვაშაკიძე, გ. მაჭავარიანი (ორივე — დიდ-ჩუღ) — 2 მონაწ. **გუნდური:** 1. დიდუბე-ჩუღურეთი — 94 ქულა, 2. გლდანი-ნაძალადევი — 58, 3. სამგორი-ისანი — 51, 4. ვაკე-საბურთალო — 25, 5. მთაწმინდა-კრწანისი — 13.

ც. ბაძრაძე

კიოკუშინ კარატეს ამიერკავკასიის ქვეყნების ფედერაციების პრეზიდენტები. მარცხნიდან: მურატ კსპოიანი (სომხეთი), ავთანდილ შენგელია (საქართველო), ალახვერდ რუსტამოვი (აზერბაიჯანი)

„კავკასიის თასი“ – ქართველ კარატისტებს

გამარჯვებულები, პრიზიორები, ორგანიზატორები

საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თაოსნობით მ. კეკელიძის სახელობის ვერის კალათბურთის სასახლეში გაიმართა ღია საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასი — 2001“, რომელშიც მონაწილეობდნენ სომხეთის, ზერბაიჯანის და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საბრძოლო სისტემის კლუბების სპორტსმენები ბათუმიდან, ქობულეთიდან, ზუგდიდიდან, ქუთაისიდან, გარდაბნიდან, თელავიდან და თბილისიდან. შეჯიბრება, სადაც 42 კარატისტი ასპარეზობდა, სამ წონითს კატეგორიაში (-79, -80, +80 კგ.) ჩატარდა. ჩვენი სპორტსმენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამივე წონითს კატეგორიაში დაძაბულ და რთულ ორთაბრძოლებში პირველობა არავის დაუთმეს. ფინალებში ისინი გამოცდილ აზერბაიჯანელ სპორტსმენებს დაუპირისპირდნენ. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: **-70 კგ:** 1. სოსო კუნდუხაშვილი (საქ.) 2. რუსლან გაზაევი (აზერბ), 3. გოჩა სამხარაძე (გარდაბანი, კლუბი „უშბა“) და ავთანდილ ჟღერია (თბ. კლუბი „ორბი“), **-80 კგ:** 1. ემზარ ნიქაცაძე, 2. სამირ მამედოვი (აზერბ), 3. დავით გეჯაძე (საქ.), რამალ მუსტაფაევი (აზერბ); **+80 კგ:** 1. გიორგი მეხრიშვილი (საქ.), 2. ინშალახ ჯამალოვი (აზერბ), 3. ვახტანგ გაბუნია (საქ.), და ალეკო ქათამაძე (ქუთ).

მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის წინაშე საჩვენებელი გამოსვლებით გამოვიდნენ სხვადასხვა საბრძოლო სისტემის — აიკიდოს, ტაეკვონდოს, გოჯურიუს, შიტორიუს, კიოკუშინ კარატეს სპორტსმენები — ტრადიციული ჯგუფური ვარჯიშითა და მტვრევის ტექნიკის ეფექტური დემონსტრირებით.

საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციის ინიციატივით ასეთი შეჯიბრება პირველად 1998 წელს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა, რომელსაც იაპონელი ექსპერტები, მათ შორის კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი ესწრებოდა. შარშან კი შეჯიბრება სტუდენტური დღეების სპორტულ ღონისძიებათა პროგრამით ჩატარდა, წლეულს კი უკვე მესამედ უმასპინძლა „კავკასიის თასს“ ჩვენმა დედაქალაქმა.

ამ შეჯიბრებებისათვის ტრადიციულად, მოქანდაკე ირაკლი წულაძე ამზადებს სპეციალურ ბრინჯაოს ქანდაკებებს, რომლებიც გადაეცემათ მხოლოდ „კავკასიის თასის“ გამარჯვებულებს. ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ, აგრეთვე თასებით, შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით. ჯილდოები გადასცეს საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ავთანდილ შენგელიამ, მისმა კოლეგებმა სომხეთიდან — მურატ კსპოიანმა, აზერბაიჯანიდან — ალახვერდი რუსტამოვმა, აგრეთვე პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ თავმჯდომარემ, მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს პარლამენტის წევრმა რომან რურუამ.

ირაკლი დოლაბერიძე,
საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციის
გენერალური მდივანი

სპორტული პლანეტა

აივერსონი – კარტერი 52-16 და 3-2 სერიაში

ჩატარდა მე-5 შეხვედრა „ფილადელფიასა“ და „ტორონტოს“ შორის. ეს იყო ორი სუპერკალათბურთელის ალენ აივერსონისა და ვინს კარტერის დაპირსიპირება — გაიმარჯვა ახლახან ყველაზე ძვირადღირებულმა მოთამაშემ აივერსონმა..

„ფილადელფია“ — „ტორონტო“ 121-88.

აივერსონი (52+7 გადაცემა), მაკი (19) — კარტერი (16), დევისი (14).

ამ შეხვედრაში აივერსონის ოპონენტი კარტერი მოედანზე არ ჩანდა — დააგროვა მხოლოდ 16 ქულა, ხოლო მეოთხე მეოთხედში შეეჯახა მუტომბოს, ტრავმა მიიღო და დატოვა თამაში. მოგვიანებით კარტერმა განაცხადა, რომ არაფერი სერიოზული არ სჭირს და შემდეგი შეხვედრისათვის მზად იქნება, რომელიც ტორონტოში გაიმართება.

მეორე წყვილში „შარლოტმა“ სტუმრად სძლია „მილუოკის“ ანგარიშით 94:86, სერიის ანგარიშია 3:2 „შარლოტის“ სასარგებლოდ.

წყალბურთში მსოფლიო ლიგა შეიქმნა

ძველი მითქმა-მოთქმა, იმის თაობაზე, რომ დადგა დრო შეიქმნას წყალბურთში მსოფლიო ლიგა, როგორც იქნა, რეალობად იქცა. ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (FINA) გუშინ მიიღო გადაწყვეტილება მომავალი სეზონიდან ჩაატაროს წყალბურთელთა ახალი ტურნირი ნაკრებების დონეზე — მსოფლიო ლიგაში. თავდაპირველად მსოფლიოს 8 საუკეთესო ნაკრები ჩაერთვება ლიგაში. A ჯგუფში მოხვდნენ: ბრაზილია, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი; B ჯგუფში: აშშ, რუსეთი, ხორვატია, უნგრეთი. შეხვედრები ჩატარდება შინ და სტუმრად ორ წრედ. ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო გაითამაშებს მთავარ პრიზს ფინალურ ეტაპზე. გამარჯვებული მიიღებს 100 ათას დოლარს, მეორე პრიზიორი — 70-ს, მესამე — 50-ს, მეოთხე — 30-ს. ფინალურ ეტაპამდე ვინც ვერ მიაღწევს, 20-20 ათასი დოლარი ერგება.

ველოსპორტი

კრისტიან ლადემანი – „მშვიდობის ველორბოლის“ მეექვსე ეტაპის გამარჯვებული

გერმანელმა ველომრბოლმა კრისტიან ლადემანმა, რომელიც „აგროადლერის“ გუნდიდან ასპარეზობს, მოიგო „მშვიდობის ველორბოლის“ მეექვსე ეტაპი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ჩეხეთის გზებზე. ლიდერის ყვითელი მაისური კი თანამემამულე უვე პეშელიასგან მიიღო გერმანელმა ენრიკო პოიჩკემ.

მეექვსე ეტაპი: 1. კრისტიან ლადემანი, 2. პაულ ვან შალენი (ნიდერლანდი „კიოლნი“), 3. მაიკლ ბერი (კანადა, „სატურნი“).

საერთო ჩათვლა: 1. ენრიკო პოიჩკე (გერმანია „გოროლშტაინერი“), 2. მაიკლ ბერი, 3. მარჩინ საპა (პოლონეთი, „ატლასი“).

წუხელ...

ფეხბურთი. აზიის თასების თასი. ნახევარფინალები:
„დალიან შიდე“ (ჩინეთი) — „სიმიცუ-პულსი“ (იაპონია) 3-2;
„ალ შაბაბი“ (საუდის არაბეთი) — „ესტეგლალი“ (ირანი) 3-2.
იტალიის ჩემპიონატი. სერია A. მილანი — ფიორენტინა 1-2.
პარმა — ინტერი 3-1.
ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი — ვიტესე 1-2.

ფორმულა-1

მრბოლები – მრბოლებად, მანქანები?



«ფერარი»

განა ვინმეს აეჭვებს, რომ რბოლაში პილოტთან ერთად, არანაკლებ გადამწყვეტ როლს მანქანაც ასრულებს — მისი აღჭურვილობა — ძრავით დაწყებული საბურავებამდე? ამიტომაც ფორმულა — 1-ში, მრბოლთა გარდა, დაძაბული ბრძოლაა კონსტრუქტორთა შორისაც. წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში 11 მარკის მანქანა იბრძვის კონსტრუქტორთა თასის მოსაპოვებლად. მათ შორის, როგორც ავტორბოლის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, „ფერარის“ ყვითელი ბოლიდები, უფრო სწორად, მისი გუნდი პირველობს, რომელმაც შარშან, მსოფლიო ჩემპიონ მიხაელ შუმახერის თავაკობით, „წლის გუნდის“ წოდება მოიპოვა.

ზოგიერთი ცნობა „ფერარის“ შესახებ. ოფიციალური სახელწოდებაა: სკუდერია ფერარი მალბორო და იგი იტალიელებს ეკუთვნის: შასი — ფერარი- 2001, ძრავა — 050 (ფერარი 050), საბურავი: ბრიჯსტოუნი. დებიუტი. ფორმულა-1“-ში 1950 წლის 21 მაისს „მონაკოს გრან პრიზზე“ ჰქონდა. „გრან პრიში“ 636-ჯერ მონაწილეობდა: 135 გამარჯვება, 137 პოულ-პოზიში (საუკეთესო დრო კვალიფიკაციაში), 144 უსწრაფესი წრე. 10 ფლობდა კონსტრუქტორთა თასს (1961, 1964, 1975-77, 1979, 1982-83, 1999-2000 წლებში). ჩემპიონის ტიტულები: 10 (ალბერტო ასკარი — 1952-53, ხუან-მანუელ ფანხიო — 1956, მაიკ ხიტორნი — 1958, ფილ ჰილი — 1961, ჯონ სარტისი — 1964, ნიკი ლაუდა — 1975, 1977, ჯოდი შეჭტერი — 1979, მიხაელ შუმახერი — 2000).

„პროფესიული კრივის სამყაროში

დელა ხოია – კარმაზინი

სანტ-პეტერბურგელი რომან კარამზინს შეუძლია იმედი იქონიოს 69,9 კგ წონით კატეგორიაში WBC — ვერსიით მსოფლიო პირველობის წოდებისათვის იბრძოლოს.

WBC-ს საბჭოს გადაწყვეტილებით, ამისათვის კარამზინმა და ამერიკელმა ფერნანდო ვარგასმა ერთმანეთშიუნდა გაითამაშონ ამ ვერსიით ესპანელ მსოფლიო ჩემპიონ ხავიერ კასტილიოესისა და ოსკარ დე ლა ხოიას შორის გამარჯვებულთან შეხვედრის უფლება.



მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივეს ვარგასს შეუძლია უარი განაცხადოს ამ ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობის ბრძოლაზე, ვინაიდან ფელიქს ტრინიდადის სხვა წონაში გადასვლის გამო („ლელო“ წერდა ამის შესახებ) ვაკანტური აღმოჩნდა WBA/IBF ტიტულები.

ისე, თუ დე ლა ხოიამ დაამარცხა ესპანელი მეტოქე, რაც ადვილი შესაძლებელია, მას რუსეთელ მოკრივესთან მოუწევს თავისი ტიტულის დაცვა.



გაზეთის დაბეჭდვის წინ:

ვიალი საქმეს ტრანსფერით შეუდგა

ინგლისის „უეტფორდის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ ერთბაშად სამი ფეხბურთელი წააყენა ტრანსფერზე — ნეილ კოქსი, კლინტ ისტონი და დევიდ პერპეტუინი. არადა, სამივე ფეხბურთელი ბოლო 2 წელიწადი გუნდის მყარ დასაყრდენად ითვლებოდა.

ელბერის მომავალი ცოლის ხელშია

მიუნხენის „ბავარიის“ შედეგიან თავდამსხმელს ელბერს ამ კლუბთან კონტრაქტი 2004 წელს უმთავრდება, მაგრამ იგი მზადაა ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შეთანხმება, თუკი ამას მისი ცოლი სინტია მოისურვებს. „თუ ერთ მშვენიერ დღეს ცოლი მეტყვის, რომ სურს დატოვოს მიუნხენი, უმალვე ავიბარგები ამ ქალაქიდან — აცხადებს ელბერი.

ანელკა ცარიელი ტრიბუნების წინ თამაშზე ოცნებობს

საფრანგეთის ნაკრების და „პარი სენ-ჟერმენის“ ფეხბურთელი, 22 წლის ანელკა აცხადებს, რომ მოყიერჭდა გაუთავებლად ისმინოს გულშემატკივართა სტვენა და ცარიელი ტრიბუნების წინ თამაშზე ოცნებობს. „ბავშვობიდან ჩემი პროფესიაა ფეხბურთი, სხვა არაფერი მაინტერესებს. კარგად ვთამაშობ თუ ცუდად, ეს ჩემი შესაძლებლობაა, ტელეეკრანის ვარსკვლავი მე ვერ გავხდები“. კითხვაზე თუ სად ისურვებდა თამაშს, ვიალიმ უპასუხა — იტალიაში!



კლიჩკოს მეგობარ ბოტა იქნება

წუხელ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სუპერმძიმე წონაში VBO-ს ვერსიით უკრაინელი პროფესიონალი მოკრივე ვლადიმერ კლიჩკო, 4 აგვისტოს, ლას-ვეგასში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაცავად 32 წლის სამხრეთაფრიკელ, ამჟამად უკვე ამერიკელ ფრენკ ბოტას შეეკინება.

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის საინფორმაციო სპონსორი

ნახევარფინალი ● საპასუხო მატჩები

თასს შარშანდელი ფინალისტები გაითამაშებენ

ჩემპიონატი კი მთავრდება



სეზონი ფინიშს უახლოვდება. ჩემპიონატში ორი ტურიღა დაგვრჩა. თასზეც — მხოლოდ ფინალი. დავიწყოთ სათასო მატჩებით. ნახევარფინალებში უბრალო და დაუძაბავი მატჩები რომ არ იქნებოდა, თავიდანვე ნათელი იყო. „მერანისთვის“ სამშაბათის შეხვედრა ევროტურნირებზე გასვლის ბოლო შანსი იყო. „სინათლის“ ბინადართ ძნელი ამოცანა უნდა ამოეხსნათ, „ლოკომოტივისთვის“, რომელსაც ჩემპიონობის შანსი დიდი ხანია ჩამოართვეს და ისიც თასის ფინალზე ფიქრობდა, სამი ბურთით უნდა მოეგოთ. „მერანმა“ ბევრი იბრძოლა, სახიფათოდაც შეუტია მეტოქეს, მაგრამ ვერას გახდა. „ლოკომოტივმა“ მასპინძელთა შეტევებს გაუძლო და გილაურის ჩინებული გოლით მეორე შეხვედრაც მოიგო. რკინიგზელები ისევ ფინალში არიან. ისინი ძველ მეტოქესთვან ქუთაისის „ტორპედოსთან“ ჭიდილში შეეცდებიან თასის შენარჩუნებას. „ტორპედოსაც“ გაუჭირდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“, ხვადაგიანის გოლით, მაინც აჯობა და ისიც ფინალშია.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

26 მაისს ერთმანეთის პირისპირ შარშანდელი ფინალისტები წარსდგებიან. „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“. ერთი წლის წინათ „ლოკომოტივმა“ „ტორპედოს“ პენალტების სერიით 4-2 მოუგო და თასს პირველად დაეუფლა. ახლა ძოძუაშვილისა და ყიფიანის ქუთათური კლუბი შეეცდება გივი ნოდიას „ლოკომოტივი“ შეაჩეროს და თასი ჩამოართვას. ვნახოთ, ვისი აჯობებს.

ჩემპიონატშც გადამწყვეტი ეტაპი დადგა. ხვალ შეიძლება ჩემპიონის ვინაობაც შევიტყოთ. თუ „ტორპედომ“ „კოლხეთის“ დამარცხება შეძლო, უეჭველია, დუბლის შესრულებისთვის იბრძოლებს. თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ მატჩში კი ალბათ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანთა ვინაობა გაირკვევა.

ტექნიკური შედეგები

მერანი – ლოკომოტივი 0-1 (0-2)

მერანი: დევაძე, ჭინჭარაული (ბაჯელიძე 65), გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, მუხინი, ჩხაიძე (კოშკაძე 46), დევიძე, ხუციშვილი, დ. გოდერძიშვილი (თოლორდავა 67), მინაშვილი.

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, სალუქვაძე, ლაცაბიძე, ონიანი, გილაური, ჭიქვეიშვილი, ანჩაბაძე (გ. შენგელია 88). გოგიჩაიშვილი (პარამონოვი 89), კაიდარაშვილი.

გოლი: 0-1 გილაური (90)

გაფრთხილება: კაიდარაშვილი, დავითნიძე.

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

ტორპედო – ვიტჯორჯია 1-0, (2-1)

ტორპედო: ზოიძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე (ჭინჭარაძე 75), თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე, იონანიძე (გვიჯრიშვილი 84). აშვეთია (გუჩუა 66), დ. ჯანაშია.

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, თ. კობიაშვილი, ინწკირველი (ადამია 46), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, დოლიძე, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, გ. ყიფიანი (სულთანიშვილი 70), ლ. მელქაძე, წუწუნავა (ვ. გოჩაშვილი 53).

გოლი: 1-0, ხვადაგიანი (43)

გაფრთხილება: დოლიძე

მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

დროული გაკვეთილი

საქართველო — ირანი 2-4

19 წლამდელთა ნაკრებები ● ამხანაგური მატჩი

15 მაისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.

საქართველო: ჭრიკიშვილი (ბობღიაშვილი 86), მამფორია, გუშარაშვილი, ფეიქრიშვილი (ციმაკურიძე 75), ხარბედია (კუპრეიშვილი 63), ებანოიძე (მანჭარაული 83), ქოქიაშვილი, ღუჭაშვილი (მალანია 66), ლომიძე, ფუტკარაძე (ნადირაშვილი 55), დათუნაიშვილი (ქუხილავა 40).

ირანი: ყასემი, ფალაჰი, აშური (მონაჯათი 82), ლოფტი (სალეხიჯადი 55), ქაში, (ზარე 82), დაღალელე, მობალი (ჰეყიფური 52), ქაზემანი, მადანჩი, ჰადადი (ოსტოვარი 79), ისმაილი (ჰოვყიზი 80).

გოლები: 1-0 გუშარაშვილი (9), 1-1 ჰადადი (19), 1-2, 1-3 ისმაილი (23,32), 2-3 ქოქიაშვილი (43), 2-4 მადანჩი (72).

გაფრთხილება: ქაში, ღუჭაშვილი, ებანოიძე, ოსტოვარი.

გაძევება: ზარე

მსაჯი: ა. ორდინიძე (საქართველო)

ქართველმა ჭაბუკებმა ირანელ თანატოლებთან მეორე მატჩი კარგად დაიწყეს. ქოქიაშვილის კუთხურს გუშარაშვილის მაღალი ნახტომი და ზუსტი თავური მოჰყვა. დავწინაურდით, მაგრამ ჩვენი შეტევითი შესაძლებლობები ამით ამოიწურა. სტუმართა გუნდი ამოძრავდა და იერიშზე გადავიდა. განსაკუთრებით საშიში ირანელთა ფლანგური შეტევები იყო. მასპინძელთა მცველები ვერ უმკლავდებოდნენ თავდამსხმელებს. ერთ-ორ ეპიზოდში ჯერ მეკარემ გვიხსნა, მერე კი თამაშგარემ. თუმცა 10 წუთში ირანელებმა ანგარიში გაათანაბრეს, მერე წინაც გავიდნენ.

ქოქიაშვილის დიდებულად შესრულებულმა დარტყმამ და გოლმა ოდნავ გამოუკეთა გუნება მცირერიცხოვან მაყურებელს. თუმცა მატჩის შემდგომ მსვლელობაზე დიდად არ უმოქმედია. სტუმრებმა მატჩი მოიგეს. თუ ბოლნისში ჩატარებულ პირველ შეხვედრაში თამაშითაც და ანგარიშითაც გარკვეული თანაფარდობა იყო, ამ შეხვედრაში სტუმრების სათამაშო უპირატესობა და კლასი აშკარად გამოჩნდა. გარკვეულწილად ისინი ერთფეროვნად, მაგრამ ამავე დროს, გააზრებულად უტევდნენ და მაქსიმალურად გამოიყენეს საგოლე სიტუაციები. ქართულ გუნდზე კი რა ვთქვათ. ადრეც ვწერდით, ნაკრები ჩამოყალიბების გზაზეა და ძნელია მხოლოდ სამი თამაშის შემდეგ კარდინალური დასკვნები გავაკეთოთ. ირანელ თანატოლებთან ჭიდილმა სრულად გამოავლინა ნაკრების ნაკლი, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში და მცველთა თამაშში. აუცილებელია რაც შეიძლება ბევრი თამაში, საკონტროლო შეხვედრები, რომელიც გუნდს დააბალანსებს და შეათამაშებს. ირანელებმა კი კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარეს, როგორც ფეხბურთელებს ისე მწვრთნელებს, ეს მატჩები მხოლოდ სტატისტიკისთვის, რომ არ ვითამაშეთ, ალბათ შემდგომი მზადებისას გამოჩნდება. ვიმედოვნებთ ირანული გაკვეთილი ჩვენი ჭაბუკებისთვის დროული იყო.

მიხეილ საბახტარიშვილი

მსაჯები, ინსპექტორები

უმაღლესი ლიგა ● IX ტური

18 მაისი, VII-XII ადგილები

გორდა — დილა. მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე.

დინამო (ბთ) — იბერია. მთავარი მსაჯი — მაისურაძე, ასისტენტები — ბრეგვაძე, ჩოჩიშვილი, მეოთხე მსაჯი — მესხი, ინსპექტორი — მ. კობიაშვილი.

სიონი — თსუ. მთავარი მსაჯი — დოგრაშვილი, ასისტენტები — გაბრიაძე, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — მალაღურაძე. ინსპექტორი — ა. დურსუნიში.

19 მაისი, I-VI ადგილები

მერანი — ვიტ ჯორჯია. მთავარი მსაჯი — ფანიაშვილი, ასისტენტები — რუსიშვილი, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი — კვარაცხელია, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

ტორპედო — კოლხეთი 1913. მთავარი მსაჯი — მალაღურაძე, ასისტენტები — ელიკაშვილი, სილაგავა, მეოთხე მსაჯი — სანაია, ინსპექტორი — ო. გუნთაძე.

დინამო (თბ) — ლოკომოტივი. მთავარი მსაჯი — შილაკაძე, ასისტენტები — დოლიძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი — ა. მილჩენკო. (მატჩი დაიწყება 21 საათზე).

პირველი ლიგა ● IX ტური

18 მაისი, I-VI ადგილები

მეტალურგი — სამგურალი. მთავარი მსაჯი — კრიჭაშვილი

ცხინვალი — შუქურა. მთავარი მსაჯი — მეშკოვი

მილანი — გურია-ლოკ2. მთავარი მსაჯი — კვარაცხელია

19 მაისი, VII-XII ადგილები

ივერია — კოლხეთი (ხ). მთავარი მსაჯი — ანიაშვილი

თბილისი — თორი. მთავარი მსაჯი — ბუიშვილი.

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

I – VI ადგილები						
ტორპედო	8	5	2	1	10-5	41
დინამო(თბ)	8	3	4	1	13-8	37
ლოკომოტივი	8	1	4	3	6-9	35
ვიტ ჯორჯია	8	3	3	2	11-8	31
კოლხ.1913	8	2	1	5	9-14	23
მერანი91	8	1	2	5	1-12	18
VII – XII ადგილები						
დინამო (ბთ)	8	4	3	1	11-3	29
სიონი	8	4	2	2	11-10	24
დილა	8	4	1	3	15-7	22
გორდა	8	3	2	3	10-11	20
თსუ	8	3	1	4	8-15	20
იბერია	8	0	1	7	6-21	3

პირველი ლიგა

I – VI ადგილები						
მილანი	8	5	1	2	16-4	37
სამგურალი	8	4	3	1	11-6	35
გურია-ლოკ2	8	4	2	2	11-8	35
მეტალურგი	8	3	2	3	8-11	32
ცხინვალი	8	1	3	4	5-11	26
შუქურა	8	0	3	5	2-13	23
VII – XII ადგილები						
კოლხეთი (ხ)	8	5	1	2	14-5	29
თორი	8	4	1	3	10-7	28
ოკეანე	8	4	3	1	11-7	25
ივერია	8	4	1	3	17-7	21
თბილისი	8	4	0	4	7-11	21
დინამო (ზ)	8	0	0	8	0-22	12

სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე

მოკლედ და კონკრეტულად...

სადისციპლინო კოლეგიის წევრებს გუშინწინდელ სხდომაზე ბევრი საკითხი არ განუხილავთ. გადაწყვეტილებებიც ძირითადად ინდივიდუალური და კონკრეტული ხასიათისა იყო.

„მერანის“ მწვრთნელს დავით ჯიშკარიანს ნერვებმა უმტყუნა „ლოკომოტივთან“ სათასო მატჩში და მისი საქციელი კოლეგიამ უკვე მესამედ განიხილა, სასჯელი კი ახლა გაცილებით მკაცრი გამოუტანეს, ვიდრე ადრე. დავით ჯიშკარიანი უკანასკნელად გააფრთხილეს. 500 ლარი ჯარიმა დაუწესეს, დამატებით კიდევ სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაციაც მისცეს. „თბილისის“ ფეხბურთელი კუპატაძე „ბოლო იმედის“ ჯარიმის გამო მინდვრიდან გააძევეს, იგი ერთ თამაშს გამოტოვებს და 50 ლარს გადაიხდის. ხობის „კოლხეთის“ მოთამაშე თორია მსაჯების გინებისთვის სამი თამაშითაა დისკვალიფიცირებული და 150 ლარს გადაიხდის.

ასპინძის „ვარძიის“ ფეხბურთელმა გიორგი ცინაძემ, რომელსაც წელს თრამდენიმე მატჩი უნდა გამოეტოვებინა გუნდის ხელმძღვანელთა სიჯიუტისა და უპასუხისმგებლობის გამო, ისევ აგრძელებდა მატჩებში მონაწილეობას, თბილისის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის (რომლის ეგიდით ტარდება შეჯიბრება) სადისციპლინო კომიტეტმა სფფ-ს შესაბამის კოლეგიას განმარტებისთვის მიმართა. პასუხი მოკლე და კონკრეტული მიიღო. — „იმოქმედეთ ეროვნული ჩემპიონატის დებულებისა და სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად“.

საბა ლომინაძე

ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგში ჩამოგვაქვეითეს

მიუხედავად ორი ამხანაგური მატჩის მოგებისა, საქართველოს ეროვნული ნაკრები ფიფას რეიტინგში ოთხი საფეხურით ჩამოქვეითდა და ახლა 72-ეა ბოსნია - ჰერცოგოვინის ნაკრებთან ერთად. ახალი რეიტინგი 20 ივნისს გამოქვეყნდება.

უეფას თასი – ფინალი

16. მაისი. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“.

ლივერპული (ინგლისი) — ალავესი (ესპანეთი). 5–4 დ.დ. (4–4)

ლივერპული: ვესტერველდი, ენჩოსი (სმიჩერი 53), ბაბელი, ჰიპია, ჰამანი, მერფი, მაკალისტერი, კარაგერი, ჯერარდი, ოუენი (ბერგერი 76). ჰესკი (ფაულერი 65).

ალავესი: ერერა, კონტრა, კარმონა, ტელესი, ჯელი, ტომიჩი, კრუიფი, ეგენი (ივან ალონსო 23), ასტუდილიო (მანო 46), დესიო, ხავი მორენო (პაბლო 65).

გოლები: 1-0 ბაბელი (4), 2-0 ჯერარდი (16), 2-1 ივან ალონსო (27), 3-1 მაკალისტერი (341), 3-2, 3-3 ხავი მორენო (48, 51), 4-3 ფაულერი (73), 4-4 კრუიფი (89), 5-4 ჯელი (117 საკ. კარ.).

გაფრთხილება: ასტუდილიო, ტელესი, კარმონა, კონტრა, ერერა, ბაბელი.

გაძევება: მანო, კარმონა.

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი).

თასის რჩეული – „ლივერპული“

დიდებული მატჩით დაიწყო უეფას თასის ისტორია ახალ საუკუნეში და ათასწლეულში. ფინალში მოვლენების ასეთ განვითარებას არავინ ელოდა. ძირითადი დრო ფრე 4-4, ბოლოს კი ავტოგოლი ვისთვის ოქროსი, ვისთვის სიმწრისა. ბასკეთის პროვინციულმა გუნდმა დაამტკიცა ფინალში შემთხვევით რომ არ მოხვედრილა. „ლივერპულმა“ კი სათასო ჰეთ-თრიკი შეასრულა წლეულს, ინგლისისა და ლიგის თასებს უეფას თასიც მიაყოლა. „ლივერპულმა“ ნაღდი, ვაქკაცური ბრძოლით, თავდადებით, ოსტატობით ჩვიდმეტი წლის შემდეგ ისევ შედგა ფეხი ევროპულ კვარცხლბეკზე. უეფას თასის 30-ე ფინალი მარტო პირველობით როდი შევა ისტორიაში. ასეთი უხვგოლიანი უეფას თასის, არც ერთი ფინალი არ ყოფილა. ახლა თასის ახალ მფლობელს და მის ტიტულებს კიდევ ერთხელ შევავლოთ თვალი. „ლივერპული“ დაარსდა 1892 წელს. ინგლისის 18-გზის ჩემპიონი, ინგლისის თასის 6-გზის მფლობელი, ინგლისის ლიგის თასის 6-გზის მფლობელი;

ჩემპიონთა თასის მფლობელი (1977, 1978, 1981, 1984); უეფას თასის მფლობელი (1973, 1976, 2001);

ამ გამარჯვებით „ლივერპულის“ დიდი ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. უეფას თასი სულ ცოტა ერთი წლით გაწითლდა.

დაუიწყარი კადრები საფეხბურთო სპექტაკლიდან «ლივერპული» — «ალავესი»

ბავშვთა ფეხბურთი

რჩეული ბიჭები დიდუბე – ჩულურეთის გუნდიდან

თბილისის მოსწავლეთა I თამაშების ფეხბურთელთა ტურნირში დედაქალაქის ყველა რაიონის გუნდი მონაწილეობდა. ასპარეზობას „ავაზას“ და 35-ე სკოლის სტადიონებმა უმასპინძლა. ნახევარფინალებში ვაკე-საბურთალოს და ისანი — სამგორის, დიდუბე — ჩულურეთის და გლდანი — ნაძალადევის გუნდები შეხვდნენ. ფინალში დიდუბე-ჩულურეთის ნაკრებმა (სპ. სკოლის დირექტორი მ. სუმბათიანი), მოუგო ვაკე-საბურთალოს წარმომადგენლებს 2-0 და თამაშების ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში გლდანი — ნაძალადევის ნაკრებმა 3-1 სძლია ისანი — სამგორის გუნდს.

სურათზე: თამაშებში გამარჯვებული დიდუბე-ჩულურეთის ნაკრები (რობერტ ბაგოიანის ფოტო).

სპონსორები ბავშვთა ფეხბურთს

ისან-სამგორის საფეხბურთო კავშირი „სამგორი-20001“ ნამდვილად საქმიანი და ენერგიული ორგანიზაცია გამოდგა. ამჯერად მისი და სპორტული სკოლის „ედელვაისის“ თაოსნობით თბილისში მიმდინარეობს რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიაც 1987-88 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობენ. ორგანიზატორები არიან: სპორტსკოლის დირექტორი ზურაბ კანდელაკი, კლუბ „ბერმუხას“ დირექტორი თამაზ გურასპაშვილი, კლუბ „ლომების“ დირექტორი ზურაბ ურდულაშვილი. სპონსორია პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

ტურნირი, რომელშიაც 14 გუნდი მონაწილეობს, საზეიმოდ გაიხსნა 13 მაისს ამხანაგური მატჩით — უბნის ნაკრები შეხვდა მწვრთნელთა გუნდს. ბურთი თამაშში შეიყვანა „სიონის“ ახალგაზრდა თავდამსხმელმა დარასელიამ.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელებისთვის დაწესებულია პრიზები.

ფეხბურთი გიორგობის დღესასწაულზე

ხონში გამართული გიორგობის ტრადიციული დღესასწაულის დასკვნით აკორდად იქცა ფოთისა და ხონის ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ფოთელთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ახლო წარსულში რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი თამაშობდა (ნუგზარ მიქაბერიძე, დავით მახარაძე, იური სიჭინავა, ნუგზარ თვარაძე) აშკარად დაჯაბნა მასპინძლები და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით 5-2.

ფოთის ვეტერანებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჩემინავა, თიბელაშვილი, მიქაბერიძე, თვარაძე, ლატარია, ქაშიბაძე, გვალია, მახარაძე, კუპრავა, სიჭინავა, თოფურია, ადამია. ხონის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი, რომლის მწვრთნელია წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იური ჯანელიძე, ახლო მომავალში მატჩებს გამართავს ქუთაისის და ზესტაფონის ვეტერან ფეხბურთელებთან.

დემურ ტორაძე, ხონი

ლიბერტადორესი საუკეთესოებს იახლოებს

ლიბერტადორესის თასზე გაირკვა კიდევ ოთხი მეოთხედფინალისტი. ესენია: „კრუს ასული“ (მექსიკა), „პალმეირასი“ და „ვასკუ დე გამა“ (ორივე — ბრაზილია) და „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა). ყველაზე დაძაბული გამოდგა „პალმეირასისა“ და „სან-კაეტანოს“ შეხვედრა. ორივეჯერ დაფიქსირდა 1-0. პენალტების სერიაში იმარჯვა „პალმერასმა“ 5-3.

„ბოკა-ხუნიორსი“ — „ხუნიორი“ (კოლუმბია) 1-1 (1-1); „კრუს — ასული“ — სერო პორტენიო (პარაგვაი) 3-1 (3-1); „ვასკუ დე გამა“ — „კონსეპსონი“ 1-0 (0-0).

ტრეზეგე „ლივერპულში“ თამაშზე ოცნებობს

ტრეზეგე

„დიდი სიამოვნებით გადავიდოდი „ლივერპულში“ თუ მიმიწვევენ“ — განაცხადა დავიდ ტრეზეგემ, რომელიც უკმაყოფილოა იტალიის „იუვენტუსში“ მისი ახლანდელი მდგომარეობით. გულნატკენი ტრეზეგე იმასაც დასძენს, რომ ისეთი ამბიციური გუნდი, როგორც „ლივერპულია“, თანაც ფრანგი მწვრთნელით, მისი ოცნებაა, მაგრამ...

ტრეზეგეს კონტრაქტი „იუვენტუსთან“ 2005 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ ეს არაა დიდი უბედურება, თანამედროვე ფეხბურთში ხომ ყველაფერი სწრაფად იცვლება — „დღეს აქ ხარ, ხვალ — სხვაგან“ — იმშვიდებს თავს „ლივერპულში“ გადასვლაზე მეოცნებე ფეხბურთელი.

დავიდსის შემცვლელის ძიებაში

ცნობილი გახდა თუ არა, რომ „იუვენტუსის“ ნახევარმცველი ედგარ დავიდსი ნარკოტიკების მოხმარებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელი ვადით (კონკრეტული ვადა მოგვიანებით გამოცხადდება) მოკვეთეს ფეხბურთიდან, კლუბმა უმალვე დაიწყო დავიდსის შემცვლელის ძიება. დაუკავშირდნენ „მილანის“ ხელმძღვანელობას ჯენარო გატუზოს გაყიდვაზე ან არენდით გადაცემაზე, რაზედაც კატეგორიული უარი მიიღეს. გავრცელდა ხმები, რომ ბოლოს და ბოლოს გატუზოს ინძაგში გაცვლ[illegible] დავიდს სულ მცირე 12-16 თვით დისკვალიფიკაცია ემუქრება.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ექს-პრეზიდენტის ქონებას ყადაღა დაედო

ესპანეთის ხელისუფლებმა ნიშანში ამოიღეს „ბარსელონას“ ყოფილი პრეზიდენტი ჟოზეფ ლუის ნუნიესი. კატალონიის სასამართლოს დადგენილებით პოლიციამ და საგადასახადო ინსტანციებმა ყადაღა დაადეს ამ მეტად მდიდარი პიროვნების ქონებას.

ნუნიესი 22 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „ბარსელონას“, ახლა კი მას კორუფციაში ადანაშაულებენ, მის ვაუს ჟოზეფ ნუნიეს ნავაროს კი საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორისათვის ქრთამის მიცემაში. ამ ინსპექტორს დაუვალა შეემოწმებინა ფირმა „ნუნიესი და ნავარო“. ყადაღა დაედო ორ ოფისს მთელი მისი ქონებით, ფინანსურ დოკუმენტაციასა და კერძო მიმოწერას, აგრეთვე ოჯახის კუთვნილ კერძო სახლს.

ასეთ მდგომარეობაში უფრო ადრე აღმოჩნდა მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ხესუს ხილი და მისი შვილი, მიგელ ანხელ ხილ მარინი, რომელიც კლუბის გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებდა.

„რომანცევი ბოლოამდე ეტანება და პროფესიული თვალსაზრისითაც თუ ვიმსჯელებთ, უვარგისი მწვრთნელია“

ეს სიტყვები ეკუთვნის არა რომელიმე გადამტერებულ გულშემატკივარს, არამედ სამარის ოლქის ვიცე-გუბერნატორსა და „კრილია სოვეტოვის“ პრეზიდენტ გერმან ტკაჩენკოს. ბრალდებები რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მოსკოვის „სპარტაკის“ პრეზიდენტისა და მთავარი მწვრთნელის მიმართ, როგორც ვხედავთ, ძლიერ სერიოზულია.

როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში ოლეგ რომანცევი, რომელსაც არაფრად უღირს ფეხბურთელების, მწვრთნელებისა თუ ჟურნალისტების მაგარ-მაგარი სიტყვებით მოხსენიება. მოვუსმინოთ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვიქტორ ცარიოვს, რომელსაც ჟურნალისტებმა განმარტებისთვის მიმართეს:

— როცა ასეთ სერიოზულ ბრალდებებს გიყენებენ, რა თქმა უნდა, სირაქლემასავით თავი ქვიშაში არ უნდა ჩამალო. ჩემი აზრით, რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს სხვა გამოსავალი აღარ დარჩენია, თუ არა თავისი დირსებისა და სახელის დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში იგი სავსებით დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ტკაჩენკო ცილს სწამებს. მაგრამ ხომ შეიძლება ისე მოხდეს, როგორც ეს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტის პრეტენდენტ კრისტოფ დაუმს დაემართა. იგი უარყოფდა ნარკოტიკების გამოყენების ფაქტს, თვითონვე მოისურვა ტესტ-კონტროლის გავლა. ვინ აღმოჩნდა სწორი? ისინი, ვინც მას ნარკომანიაში ბრალი დასდო. იმედი მაქვს, რომანცევს სათანადო არგუმენტები აღმოაჩნდება და იგი თავს დაიცავს. იგი ხომ ბატონ ტკაჩენკოსგან განსხვავებით ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელია საერთაშორისო ასპარეზზე. მის სახელსა და იმიჯზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი ჩვენი ფეხბურთის ავტორიტეტი.

გავრილოვი კონგოს ნაკრების მწვრთნელი

მოსკოვის „დინამოს“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „ასმარალის“ და სხვა ნაკრების ფეხბურთელი იური გავრილოვი კონგოს (ყოფილი ზაირი) ეროვნული ნაკრების გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. კონტრაქტი მხოლოდ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების პერიოდს მოიცავს.

კონგოს ნაკრები ჯერ კიდევ ინარჩუნებს შანსს გააღწიოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ალბათ უველაფერი დამოკიდებული იქნება ჯგუფის მთავარი კონკურენტის ტუნისის ნაკრებთან მატჩზე, რომელიც 15 ივლისს ჩატარდება.

კონგოს ფედერაცია იმედს იტოვებს აგრეთვე, რომ გავრილოვის ხელმძღვანელობით კონგოს ნაკრები წარმატებით გაართმევს თავს აფრიკის ეროვნებათა თასის შესარჩევი ტურნირის მატჩებს.

ძოლას ვინ შეელევა

ხმები იტალიელი ვეტერანის სამშობლოში დაბრუნების შესახებ არ გამართლდა: ჯანფრანკო ძოლა კვლავ ლონდონის „ჩელსიში“ რჩება, სადაც საკმარისი „იტალიური გარემოა“. მისი ახალი კონტრაქტი „არისტოკრატების კლუბთან“ ორწლიანია.

„სპორტინგმა“ დამატებით მატჩში მოიგო პორტუგალიის სუპერთასი

მხოლოდ დამატებითმა მატჩმა გადაწყვიტა პორტუგალიის სუპერთასის ბედი, რომლისთვისაც იბრძოდნენ გასული სეზონის ქვეყნის ჩემპიონი დედაქალაქის „სპორტინგი“ და თასის მფლობელი „პორტუ“. არგენტინელი ალბერტო აკოსტას ზუსტი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის წყალობით, გამარჯვება მოიპოვა „სპორტინგმა“ 1-0 (0-0). მატჩს 10 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

„ფერგის“ შესაძლებლობები ამოიწურა?

„მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ სახელოვანმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა უკვე ამოსწურა თავისი შესაძლებლობები და გუნდს ვეღარაფერს მისცემს. აი, რა ჩაწერა ერთ-ერთმა ფანატმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შთაბეჭდილებათა წიგნში.

— როგორც ჩანს, ფერგი და მისი ტაქტიკა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდება. ის, რაც ინგლისისათვის კარგი და საკმარისია, ევროპულ დონეზე უკვე წარმატებას ვეღარ მოიტანს. ასეთი თამაშით ჩემპიონთა ლიგაში რას გახდები. ფერგის მხოლოდ ის შეუძლია, რომ მოუგოს „არსენალს“ და რისხვა დაატეხოს „ბრედფორდის“ მსგავს გუნდებს. ერთ-ერთი ფანატის აზრით, „ფერგიმ შეარცხვინა ინგლისური ფეხბურთი. წესიერი ადამიანები ასეთ შემთხვევაში ბოდიშს იხდიან და კლუბს ეთხოვებიან. თუმცა ძნელია ასეთი რამ მოსთხოვო ამ უგვარო აზნაურს“.

კიდევ ერთი აზრი:

— რამდენ წელს შეიძლება თამაში ერთი და იგივე შემადგენლობით. ყველა ევროპულმა კლუბმა შეისწავლა ჩვენი ტაქტიკა, და მხოლოდ ინგლისურ გუნდებს თუ ეზარებათ ამის გაკეთება. დევ, იორკი „ასტონ ვილაში“ წავიდეს, კოული — ჯანდაბაში, ბატი სადმე შორს. ჩვენ ახალი გუნდი გვჭირდება.

კამერუნის ნაკრებში? რატომ?

ფრანგული „ლილის“ ბოსნიელმა მწვრთნელმა ფარუკ ჰაჯიბეგიჩმა უარი თქვა კამერუნის ნაკრების მწვრთნელობაზე.

— ჩვენ წელს ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა გავმხდარიყავით საფრანგეთის ჩემპიონები და ამას ახალ სეზონში უნდა ვეცადოთ.

გაშიშვლებული მეუღლის ფოტომ გაამწარა

„გალათასარაის“ თავდასხმის ლიდერი მარიო ჟარდელი ძალზე უკმაყოფილოა სიტუაციით, რომელიც მის გარშემო შეიქმნა. მას უნდა რაც შეიძლება მალე დატოვოს თურქეთი.

უკანასკნელი, რამაც ბრაზილიელს მოთმინების ფიალა აუვსო, იყო მისი გაშიშვლებული მეუღლის ფოტოსურათის გავრცელება. სურათი 10 ათასიანი ტირაჟით დაბეჭდეს და კლუბების ხელმძღვანელებს, ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს დაურიგეს.

ყოველივე ეს „გალათასარაის“ მოსასხლე მტრის სტამბოლის „ფენერბახჩეს“ ფანატების ნახელავია. საინტერესოა, რომ ჟარდელი არც „გალათასარაის“ გულშემატკივრების დიდ ნაწილს უყვარს. როგორც კი გამოდის მინდორზე, ისინი იწყებენ ყიჟინს, შეურაცხყოფენ კიდეც. მათ მიაჩნიათ, რომ ჟარდელმა თამაში არ იცის და მინდორზე ძალიან ინერტულია. ეს ცოტა უცნაური ბრალდებაა, ვინაიდან ჟარდელი 22 გატანილი გოლით თურქეთის ჩემპიონატის №1 სნაიპერია, მისი შეძენა სურთ ლისაბონის „ბენფიკასა“ და მილანის „ინტერს“. სწორედ მისი ორი გოლის წყალობით იყო, რომ 2000 წლის ზაფხულში „გალათასარაიმ“ მადრიდის „რეალს“ სძლია და ევროპის სუპერთასს დაეუფლა.

პაულეტას 25 გოლი

პორტუგალიელი პაულეტა, რომელზეც ახლა ნაკრების ხელმძღვანელები დიდ იმედს ამყარებენ, მთელი 2000-2001 წლების სეზონის განმავლობაში პირდაპირ ბრწყინვალედ თამაშობდა „ბორდოში“. საინტერესოა, რომ მან უკვე გაიტანა 25 გოლი, აქედან 19, საფრანგეთის პირველობაზე.

რედნაპი გაღადგა

ინგლისის ჩემპიონატის დამთავრებამდე, ერთი ტურით ადრე გადადგა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ მწვრთნელი გარი რედნაპი, რომელიც ამ კლუბს 1994 წლიდან ხელმძღვანელობდა.

მიზეზი? კლუბმა ბოლო 9 მატჩიდან წააგო 7. „ვიგრძენი, რომ საჭიროა ახალი მწვრთნელის მოწვევა“. ეს საკითხი ზაფხულში გადაწყდება.

არა, გაერთიანება არ მოხდება

ლონდონის კლუბ „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მეპატრონემ კრის რაიტმა კატეგორიულად უარჰყო ინფორმაცია მისი გუნდის ლონდონის „უიმბლდონთან“ გაერთიანების შესახებ.

„ნანტი“ – საფრანგეთის ჩემპიონი

საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო, XXXIV ტურის წინ, რომელიც ხვალ გაიმართება, ძირითადი საკითხი უკვე გადაწყვეტილია — პირველ ადგილზეა „ნანტი“.

იგი ამ ჩემპიონატში გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე შარშან. XXIX ტურის შემდეგ „ლილთან“ ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა. XXX ტურში „ნანტმა“ სძლია „მეცს“ — 2-1, „ლილმა“ კი ფრედ (2-2) ითამაშა „ბორდოსთან“ და ჩამორჩა. კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა XXXI ტური, როცა „ლილმა“ კიდევ ერთი შეხვედრა დაასრულა ფედ: 1-1 „ოსერთან“, „ნანტს“ კი დიდი თავგადასავალი გადახდა საშინაო მატჩში „ბასტიასთან“. მონტერუბიომ გახსნა ანგარიში, მაგრამ მასპინძლებმა ძალიან ადრე დაიწყეს ზრუნვა ანგარიშის შესანარჩუნებლად, ნანტელები იხსნა შესანიშნავმა მეკარემ მიქაელ ლანდრომ, რომელმაც რამდენიმე „მკვდარი ბურთი“ აიღო. 57-ე წუთზე „უკანასკნელი იმედის“ ფოლისათვის მინდვრიდან გააძევეს მცველი ნესტორ ფაბრი, მაგრამ ლანდრომ კვლავ ივაჟკაცა. 1-0 — ეს მატჩი „ნანტისთვის“ გადამწყვეტი აღმოჩნდა. მან XXXII ტურშიც გაიმარჯვა სტუმრად „ტრუასთან“ — 1-0 (გოლი როშას ანგარიშზეა).

XXXIII ტურის დღეს, როცა „ნანტი“ „სენტ-ეტიენს“ ხვდებოდა, მეკარე მიქაელ ლანდროს 22 წელი შეუსრულდა. იგი ახლა საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობის იმედია და ბარტეზის შესაძლო მეტოქედ ითვლება. სწორედ მის დაბადების დღეს „ნანტმა“ კიდევ ერთი მატჩი მოიგო — 1-0 (გოლი გაიტანა ვაერუამ) და 65 ქულით საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.

რა თქმა უნდა, ქვეყნის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება „ნანტისთვის“ დიდი ტრიუმფია, მაგრამ მისი ფინანსური შესაძლებლობები, ვთქვათ, მარსელის „ოლიმპიკსა“ ან „პარი სენ-ჟერმენთან“ შედარებით, ფრიად შეზღუდულია და მწვრთნელ რეინალდ დენუეის ამიერიდან დიდი თავსატეხი გაუჩნდება — გუნდი შეიძლება რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს. მათ მიწვევა აქვთ „ლიონში“, „პსჟ“-ში და სხვა მდიდარ კლუბებში.

ახალი ჩემპიონი XXXIV ტურში სტუმრად — „ლანსს“ შეხვდება. საინტერესოა, რომ ამ მატჩს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. არც „ნანტისა“ და არც „ლანსისათვის“. მეორე ადგილი 61 ქულით უზრუნველყოფილი აქვს „ლიონს“, რომელიც უეფას თასის საგზურის პრეტენდენტ „რენთან“ სტუმრად ითამაშებს. სამაგიეროდ, ძალზე დაძაბული შეხვედრები ელოდებათ „ბორდოს“ (მესამე ადგილი, 57 ქულა), რომელიც სტუმრად „მეცს“ შეხვდება და „ლილს“ (მეოთხე ადგილი, 56 ქულა) — იგი ასევე სტუმრად „მონაკოსთან“ თამაშობს. ამ შეხვედრებმა ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის საგზურების საკითხი უნდა გადაწყვიტოს.

XXX ტური. „ნანტი“ – „სენტეტიენი“ 1-0. შეტევაზეა გოლის ავტორი ვაერუა

და ბოლოს, ტურმა უნდა გამოავლინოს ლიგის №1 სნაიპერი. ახლა პორტუგალიელ პაულეტას („ბორდო“) 18 გოლი აქვს გატანილი, ბრაზილიელ სონი ანდერსონს („ლიონი“) — 16, ხოლო ბონილიას — 15.

კარიერი – წლის მოთამაშე

საფრანგეთში წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულია „ნანტის“ ნახევარმცველი ერიკ კარიერი. სიდნეი გოვუ („ლიონი“) მიჩნეულია საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ, ხოლო „ნანტის“ ხელმძღვანელი რეინალდ დენუეი — საუკეთესო-მწვრთნელად. ყველა ეს ჯილდო საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთელების კავშირმა დააწესა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ხვალ გადაწყდება პირველი ადგილის ბედი

გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

სულ რამდენიმე დღის წინათ გერმანელი მიმომხილველების დიდი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ წელს ბრწყინვალედ მოთამაშე „შალკე 04"-ს ვერავინ შეეცილებოდა ჩემპიონობას.

ეს აზრი განმტკიცდა „ბაიერნისა" და „შალკეს" უშუალო შეხვედრის შემდეგ, XXIX ტურში, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე". მატჩს 63 ათასი მაყურებელი დაესწრო, მასპინძლები ერთი ქულით იყენენ წინ და გამარჯვების შემთხვევაში თავიანთი წოდების ზედიზედ მესამედ მოპოვების საუკეთესო შესაძლებლობებს მიიღებდნენ.

ამ კლუბების შეხვედრებში ადრე ბევრი უცნაური რამ მომხდარა. 1976 წლის ოქტომბერში „ბაიერნმა" შინ ყველაზე დამამცირებელი დამარცხება იგემა — 0-7 (4 გოლი კლაუს ალოფსს ეკუთვნოდა). ერთი წლის შემდეგ მასპინძლებმა „ოლიმპიაშტადიონზე" თითქმის ისეთივე ანგარიშით, 7-1 აიღეს რევანში. 1988 წელს „შალკე 04" მიუნხენში კიდევ ერთხელ დამარცხდა მეტისმეტად სამარცხვინო ანგარიშით — 1-8 (ლოთარ მათეუსის ჰეთ-თრიკი). ერთხელ სათასო მატჩში აღინიშნა უაღრესად თავისებური ანგარიში 6-6. ისე კი, სტუმრად გელზენკირხენელებმა უკანასკნელად 18 წლის წინათ გაიმარჯვეს — 1983 წლის 28 მაისს.

სტატისტიკა სტატისტიკაა, მაგრამ მიუნხენში „შალკესთან" მატჩის წინ „ბაიერნის" ხელმძღვანელობას ერთი თავისებურებაც უნდა გაეთვალისწინებინა: ამ სეზონში ჰუუბ სტვენსის გუნდი განსაკუთრებით კარგად თამაშობს სტუმრად უშუალო კონკურენტების, წამყვანი კლუბების წინააღმდეგ — დორტმუნდში სძლია „ბორუსიას" 4-0, ბერლინში — „ჰერტას" ასევე 4-0, ლევერკუზენში — „ბაიერს" 3-0 — პირდაპირ განსაცვიფრებელი შედეგებია! ყველაზე განსაცვიფრებელი მაინც ის იყო, რომ ამჯერად სტუმრებმა მიუნხენშიც მოიგეს — 3-1, ამასთან, კარსტენ იანკერმა მესამე წუთზე ანგარიში კი გახსნა, მაგრამ ამას დანიელმა სნაიპერმა ებე სანდმა სამი გოლით უპასუხა. აი, ამის შემდეგ „შალკემ" პირველ ადგილზე გადაინაცვლა და მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ მას უკვე ჩემპიონობა ხელიდან აღარ წაუვიდოდა.

ალექსანდრ ციკლერი (შავ მაისურში)

ძველი ვირტუოზი ანდრეას მიოლერი ხომ სასტიკად „გეშავს" მეტოქის კარის მიმართულებით ებე სანდსა და ემილ მპენზას (რომელიც ძალიან კარგად შეეგუა ახალ პარტნიორებს), დაცვა და მეკარე ოლივერ რეკიც საკმაოდ საიმედოდ თამაშობენ. „შალკე 04" სათამაშოდ რჩებოდა ბერლინის „ჰერტასთან", „ბოხუმთან", „ვოლსფბურგთან", „შტუტგარტსა" და „უნტერხახინგთან". ითვლებოდა, რომ ეს შედარებით იოლი (?!) ფინიში იყო.

ვის შეეძლო ეფიქრა, რომ გელზენკირხენელებს ძალები აღარ ეყოფოდათ. „ჰერტა" კი დაამარცხეს 3-1 საკუთარ მინდორზე, მაგრამ შემდეგ სტუმრად ქ. ბოხუმში, ჩემპიონატის აშკარა აუტსაიდერთან (რა თქმა უნდა, თუკი არსებობს ბუნდესლიგაში ასეთი ცნება!) „შალკე" ვერაფერს გახდა. ფრაიერის გოლის შემდეგ ემილ მპენზამ კი გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ დაიკარგა ორი ქულა და XXXI ტურის შემდეგ „ბაიერნი" დაეწია მეტოქეს. ახლა ჩემპიონობის ამ ორ პრეტენდენტს 56-56 ქულა ჰქონდა. რჩებოდა სამი ტური.

XXXII ტურში „შალკე 04"-ს უნდა მიეღო საშუალო „შეძლების" „ვოლფსბურგი". სტუმრებმა თამაშის წინა დღეებში ოფიციალური შეტყობინება მიიღეს შემადგენლობიდან გამოეყვანათ თავიანთი სნაიპერი, ნიგერიელი ჯონათან აკპობორი. რატომ? იმიტომ, რომ ეს ცნობილი ოსტატი გახვეულია სკანდალში, რომელიც ბავშვების გაყიდვასთან არის დაკავშირებული. ბენინის რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ცნობით, გემ „ეტირანოს", რომელიც აკპობორის საკუთრებაა, მონა ბავშვები გასაყიდად ბენინიდან გაბონში გადაჰყავდა. ჯერჯერობით აკპობორის დანაშაული დადასტურებული არ არის, მაგრამ ვიდრე საქმე საბოლოოდ არ გამოირკვევა, მისი გამოჩენა მინდორზე წარმოუდგენლად მიაჩნიათ.

„შალკე 04" დიდხანს წინ იყო 2-0 (გოლები გაიტანეს სანდმა და მპენზამ), მაგრამ უკანასკნელ წუთებში კინაღამ ყველაფერი წყალში გადაყარა: 89-ე წუთზე პოლონელმა იურკოვიაკმა ერთი საპასუხო გოლი გაიტანა, ამის შემდეგ კი (უკანასკნელ წამზე) მარიჩმა ძელს მოახვედრა ბურთი. რაც იყო, იყო, „შალკემ" მოიგო 2-1, მაგრამ „ბაიერნმაც" მეტისმეტად ძნელი მატჩი მოიგო ლევერკუზენში სანტა კრუსის მიერ 87-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით.

მაშ ასე, „შალკე 04" — 59 ქულა, „ბაიერნი" — 59 ქულა.

და მაინც, „ბაიერნის" მრავალნაცად მოთამაშეებს უფრო მტკიცე ნერვები და მეტი იღბალი აღმოაჩნდათ. XXXIII ტურის მატჩში ოტმარ ჰოცფელდის გუნდი შინ აგებდა პირველ ტაიმს „კაიზერსლაუტერნთან" — 0-1 ახოვანი ჩეხის, ვრატისლავ ლიკვენცის გოლის წყალობით, მაგრამ მატჩის მეორე ნახევარში კარგად ითამაშა. ჯერ კარსტენ იანკერმა გაათანაბრა ანგარიში, მატჩის უკანასკნელ წამებში კი (ისევ წამები!) ალექსანდრ ციკლერმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა — 2-1. ამასობაში „შალკე 04", შტუტგარტში, 90-ე (!) წუთზე კრასიმირ ბალაკოვის მიერ გატანილი ბურთის „წყალობით" დამარცხდა. ერთი სიტყვით, ამ ტურში უკანასკნელმა წუთმა „ბაიერნს" ორი ზედმეტი ქულა მოუპოვა, თუმცა ფრესაც უნდა დასჯერებოდა, გელზენკირხენელებმა კი სამი ქულა დაკარგეს.

ახლა „ ბაიერნს" 62 ქულა აქვს და „შალკეს" მთელი სამი ქულით უსწრებს. ეს ჩემპიონობის შესანარჩუნებლად საკმარისი უნდა გამოდგეს.

ხვალ ბოლო ტურში „ბაიერნი" სტუმრად ეთამაშება „ჰამბურგერ შპორტფერაინს", რომელსაც 40 ქულა აქვს, მე-13 ადგილზეა და ბუნდესლიგის დატოვება არ ემუქრება. ერთი სიტყვით, ლიდერს ფრეც სავსებით აძლევს ხელს. „შალკე 04" მიუნხენის გარეუბნის კლუბ „უნტერხახინგს" მიიღებს. გავიხსენოთ, რომ შარშან გარეუბნის კლუბმა „ბაიერის" (ლევერკუზენი) დამარცხებით „ბაიერნს" ჩემპიონობა მოუპოვა. ახლა „უნტერხახინგს" ბუნდესლიგის დატოვება ემუქრება, მაგრამ თუ მაინც ისე მოხდა, რომ მან სტუმრად მოიგო, მაშინ „შალკე 04" მეორე ადგილსაც ჰკარგავს. ახლა მესამე ადგილზე მყოფ დორტმუნდის „ბორუსიას" („კიოლნს" მიიღებს) 57 ქულა აქვს.

ისე, რომ...

ბივი ბამრეკელი

ფრანსისკო მატურანა

მაბურანა – კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელი

ლუის გარსიას განთავისუფლების შემდეგ კოლუმბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ერთხანს თავისუფალი იყო. ახლა ამ თანამდებობაზე დაინიშნა ფრანსისკო მატურანა, რომელიც ამ ნაკრებს მსოფლიოს 1990 და 1994 წლების ჩემპიონატებში ხელმძღვანელობდა.

გარსიას მას შემდეგ დაატოვებინეს თანამდებობა, რაც კოლუმბიელებმა წააგეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი სტუმრად ვენესუელელებთან — 0-2. მატურანას დაეკვალა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. ადრე იგი წარუმატებლად წვრთნიდა ეკვადორის, კოსტა-რიკისა და პერუს ნაკრებებს.

„ნიურნბერგი" დაბრუნდა

ცნობილმა კლუბმა „ნიურნბერგმა" გაიმარჯვა მეორე ბუნდესლიგაში და მომავალი სეზონიდან კვლავ გერმანიის უმაღლეს ლიგაში გამოვა. იგივე უფლებისათვის ახლა იბრძვიან მიუნხენგლადბახის „ბორუსია", ჰამბურგის „სანკტ პაული" და „ვალდჰოფი".

„მილანი" ბელკევიჩით დაინტერესდა

მას შემდეგ, რაც კახა კალაძე შეიძინა, „მილანის" ხელმძღვანელობა დაინტერესდა კიევის „დინამოს" ბელორუს ნახევარმცველ ბელკევიჩით, რომელიც უკრაინის დედაქალაქში თამაშის ჩინებულ წარმმართველად ითვლება.

კარსტენ იანკერი

ყველაზე დიდი ნაკლი – სუსტი მსაჯობა

ადრე ფრანგ მსაჯებს მთელ მსოფლიოში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ. ამიტომაც, ვოტროსა და კინიუს მსოფლიო ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის ყველაზე საპასუხისმგებლო შეხვედრებს ანდობდნენ, ახლა კი...

საფრანგეთის წლევანდელ ჩემპიონატში ყველაფერი შეიცვალა. „ლიონის" პრეზიდენტმა „ლიონისა" და პსჟ-ს მატჩის მსაჯ სტეფან მულენს, პირდაპირ რომ ვთქვათ, „უნამუსო" უწოდა, თქვა, რომ სხვებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა მისი გუნდი ჩემპიონი არ გამხდარიყო. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია იძულებულიც კი გახდა, რომ „სტრასბურ" – „მეცის" შეხვედრის გადათამაშებისათვის ბულგარელი რეფერი განევი მოეწვია, რაც პირდაპირ უმაგალითო რამ იყო.

სწორედ ის – დიდი

გარინჩა, დიდი, ვავა, პელე, ზაგალო — ასეთი იყო ბრაზილიის ნაკრების თავდასხმა 1958 წელს, რომელმაც შეცვალა მანამდე გავრცელებული შეხედულებები შეტევაზეც და ტაქტიკურ სქემებზეც. ჯერ გარინჩა, „ხალხის სიხარულად" წოდებული, დაკარგა ფეხბურთის სამყარომ, სულ რამდენიმე დღის წინათ, დიდიც...

ვალდირ პერეირა, რომელიც ფეხბურთის ისტორიაში დიდის სახელით არის ცნობილი, დაიბადა 1928 წელს. თამაშობდა თავდამსხმელად, შემდეგ კი ნახევარმცველად. კარიერა დაიწყო „მადურეირაში", შემდეგ გააგრძელა „ფლუმინესესა", „ფლამენგოსა" და „ბოტაფოგოში", შემდეგ გადავიდა მადრიდის „რეალში", ბოლო წლებში კი ისევ „ბოტაფოგოს" დაუბრუნდა.

დიდი ფართოდ ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1958 წლამდე. ვირტუოზული ტექნიკის წყალობით შეეძლო სულ სხვადასხვა პოზიციიდან დაერტყა კარში. მის მოჭრილ დარტყმებს ვერავინ ბაძავდა. დიდის მთავარი ღირსება მაინც სხვა იყო: ითვლებოდა შეტევის შეუდარებელ ორგანიზატორად.

პელესაგან განსხვავებით, დიდი ვუნდერკინდი არა ყოფილა. 22 წლისა მონაწილეობდა მსოფლიოს V ჩემპიონატში (1954 წელს შვეიცარიაში). თავი გამოიჩინა მექსიკელებთან შეხვედრაში (5-0), სადაც ერთ-ერთი გოლი გაიტანა. ფრედ (1-1) დამთავრებულ შეხვედრაში იუგოსლავიელებთან დიდიმ ასევე გოლი გაიტანა განთქმულ ვლადიმირ ბეარას კარში, უნგრელებთან მეოთხედფინალურ მატჩში (2-4) დიდიმ ჩვეული სტილით „ჩაახვია" ბურთი კარში, მაგრამ დიულა გროშიჩმა სასწაულებრივ იხსნა კარი.

დიდის დრო მოგვიანებით დადგა. 1958 წელს შვედეთში ბრაზილიელმა მწვრთნელმა ვინსენტე ფეოლამ დიდი ტაქტიკური სიახლე შესთავაზა მეტოქეებს. ეს სიახლე გარკვეულწილად უკანდახეული დიდის ვირტუოზულ თამაშს ემყარებოდა. განუმეორებელ დირიჟორს იდეალური გადაცემებით გაჰყავდა კარის პირისპირ გარინჩა და პელე, გნებავთ ვავა და ალტაფინი (რომელსაც მაშინ მაცოლას ეძახდნენ), სახტად დარჩენილი მცველები კი ვერაფერს აწყობდნენ. მას შემდეგ, რაც ბრაზილიელებმა ფინალში შვედები დამარცხეს (5-2) და პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა, ფეოლამ თქვა: „დიდი ნაკრების თავია, გარინჩა — ფეხი, პელე კი მომავალი". დიდიზე სხვა რამეც თქვეს: „ეს არის პირველი ბრაზილიელი, რომელიც ევროპულად თამაშობს".

მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონი – ბრაზილიის ეროვნული ნაკრები
დგანან (მარცხნიდან): ჯალმა სანტოსი, ზიტო, ჟილმარი, ზოზიმო, ნილტონ სანტოსი, მაურო, გუნდის ექიმ-ფსიქოლოგი გოსლინგი; სხედან: ამერიკო (მასაჟისტი), გარინჩა, დიდი, ვავა, ამარილდო, ზაგალო.

როცა მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა, ერთი გამოკითხვით დიდი მის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს პელესთან ერთად. იყო სხვა აზრიც: 17 მწვრთნელთა აზრით პირველი ადგილი მიეკუთვნა რაიმონ კოპას, მეორე — კურტ ჰამრინს, მესამე — დიდის. რაც შეეხება სხვადასხვა იდეალურ ნაკრებს (ისინი მრავლად გამოქვეყნდა) იქ დიდის გვერდი ვერავინ აუარა.

ჯერ კიდევ ამ ჩემპიონატამდე დიდის „ვალენსია" ეპატიჟებოდა, მაგრამ მას „ბოტაფოგომ" ხელფასი 120 000 კრუზეირომდე გაუზარდა და შეინარჩუნა. 1958 წლის შემდეგ ეს უკვე გაძნელდა. ბრაზილიელი ვარსკვლავი მადრიდის „რეალში" გადავიდა, სადაც „ელ ნეგროს" ეძახდნენ და თვეში 60 ათას პესეტს იღებდა. შეიძლება „რეალის" დღევანდელი ვარსკვლავებისათვის: ფიგუსა და რაულისათვის ეს „ხურდა ფულია", მაგრამ მაშინ სულ სხვა დრო იყო. დიდის ძალიან მოსწონდა ახალი კლუბი: „ესპანეთი ყველა ფეხბურთელისათვის აღთქმული ქვეყანაა!" დიახ, „ელ ნეგროს" მადრიდში დიდი სახელი ჰქონდა, რომელიც მხოლოდ მაშინ გაუფუჭდა, როცა მსოფლიოს VII ჩემპიონატში 1962 წელს ბრაზილიელებმა სძლიეს... ესპანელებს!

ბრაზილიის ნაკრებში დიდიმ (74 კგ იწონიდა, მისი სიმაღლე — 177 სმ) 73 მატჩი ითამაშა და 19 გოლი გაიტანა. გარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონობისა, სამხრეთ ამერიკის პირველობებზეც გამოიჩინა თავი.

მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატის შემდეგ დიდიმ მალე დაანება თავი თამაშს და პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. სათავეში ჩაუდგა პერუს „სპორტინგ კრისტალს", სადაც მიღწეულმა წარმატებებმა უკვე პერუს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტისაკენ გაუხსნა გზა. მისი ხელმძღვანელობით პერუელებმა შესარჩევ ტურნირში სენსაციურად გასწრეს არგენტინელებს (!), ჩამოიტოვეს ბოლივიელებიც და 1970 წელს მექსიკის საგზურები მოიპოვეს, ეს იყო ცნობილი ოსტატების სოტილის, კუბილასის და ჩუმპიტასის ნაკრები, რომელმაც ბულგარელებს და მაროკოელებს სძლია, მეოთხედფინალამდე მივიდა, სადაც, ბედი არ გინდათ? — ბრაზილიელებს გადაეყარა (2-4).

დიდი სხვადასხვა დროს მუშაობდა მწვრთნელად „ბოტაფოგოში", „ვერაკრუსში" (მექსიკა), „რივერ პლეიტში" (არგენტინა).

„დიდი ჩემთვის იგივე იყო, რაც მეორე მამა" — ეს სიტყვები უკვე პელეს ეკუთვნის.

ბივი ბამრეკელი

ორი უახლესი „რანგ-ლისტი“: პროფესიული და ფიდეს ვერსიით

ურთდროულად გამოქვეყნდა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების ორი ახალი „რანგ-ლისტი“, ფიდეს ვერსიით და პროფესიული.

ფიდე: 1. კასპაროვი (რუსეთი) — 2827 ქულა. 2. კრამნიკი (რუსეთი) — 2802. 3. ანანდი (ინდოეთი) — 2794. 4. ადამსი (ინგლისი) — 2750. 5. მოროზევიჩი (რუსეთი) — 2749. 6. ლეკო (უნგრეთი) — 2731. 7. ივანჩუკი (უკრაინა) — 2731, 8. შიროვი (ესპანეთი) — 2723. 9. გელფანდი (ისრაელი) — 2712. 10. ბარეევი (რუსეთი) — 2709. 11. ტოპალოვი (ბულგარეთი) — 2707. 12. სვიდლერი (რუსეთი) — 2695. 13. კარპოვი (რუსეთი) — 2693. 14. კაზიმჟანოვი (უზბეკეთი) — 2693. 15. სმირინი (ისრაელი) — 2691. 16. ხალიფმანი (რუსეთი) — 2690. 17. გურევიჩი (ბელგია) — 2688. 18. დრეევი (რუსეთი) — 2685. 19. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 2679. 20. ბოლოგანი (მოლდავეთი) — 2676 და ა.შ.

პროფესიული: 1. კასპაროვი — 2796. 2. კრამნიკი — 2785. 3. ანანდი — 2763. 4. მოროზევიჩი — 2720. 5. ივანჩუკი — 2693. 6. ლეკო — 2686. 7. გელფანდი — 2674. 8. ადამსი — 2674. 9. შიროვი — 2674. 10. ტოპალოვი — 2673. 11. ხალიფმანი — 2671. 12. ბარეევი — 2667. 13. სვიდლერი — 2648. 14. დრეევი — 2646. 15. კ. გეორგიევი (ბულგარეთი) — 2638. 16. ტკაჩოვი (საფრანგეთი) — 2634. 17. პონომარიოვი (უკრაინა) — 2631. 18. სმირინი — 2631. 19. კარპოვი — 2630. 20. ჩან ჩონგი (ჩინეთი) — 2630 და ა.შ.



„ძველი გვარდიის“ მონაწილეობით

არაერთმა გამოჩენილმა დიდოსტატმა მიიღო მონაწილეობა ამას წინათ, პინამარში (არგენტინა) გამართულ საერთაშორისო ტურნირში. 12 მონაწილეს შორის იყვნენ ცნობილი ბენტ ლარსენი (დანია), ულფ ანდერსონი (შვეცია), ოსკარ პანო (არგენტინა)...

8 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ულფ ანდერსონი, რომელსაც ყველაზე მაღალი რეიტინგი (2640) ჰქონდა. მას სულ ნახევარი ქულით ჩამორჩა არგენტინელი დიდოსტატი ჰოფმანი, მესამე ადგილი კი, 7 ქულით პანოს დარჩა. რაც შეეხება ლარსენს, მან IV-V ადგილები გაიყო არგენტინელ დიდოსტატ რიკარდოსთან.

ჟორჟნოის 70 წლისთავის ალსანიშნავად

სანკტ-პეტერბურგში გაიმართა გამოჩენილი დიდოსტატის ვიქტორ კორჩნოის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში. 6 მონაწილე, მათ შორის თვით იუბილარიც ორ წრედ თამაშობდა.

8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა დიდოსტატმა საკაევმა. 6-6 ქულით დამთავრეს შეჯიბრება კორჩნოიმ და რუბლევსკიმ, 5,5 ქულა მიაგროვა პოპოვმა, 3 — ჩეპუკაიტისმა, 1,5 — ტაიმანოვმა.

ციხანა საყვარელიძე

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ქართული და უცხო ენების კათედრის უფროსი მასწავლებლის ქალბატონ ციხანა დავითის ასულ საყვარელიძის უდროოდ გარდაცვალებას.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში გერმანული ენის სპეციალობით.

1949 წლიდან, სიცოცხლის ბოლო წუთამდე, მუშაობდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში (ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი) უცხო ენების კათედრაზე უფროს მასწავლებლად.

ც. საყვარელიძე უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. განსაკუთრებული ყურადღებით ამეცადინებდა იმ სპორტსმენებს, რომლებიც ხშირად გამოდიოდნენ შეჯიბრებებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. აქტიურად მონაწილეობდა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით, მეთოდურ კონფერენციებსა და ლინგვისტურ სემინარებში.

სპორტის წარმომადგენლები დიდი მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ ქალბატონ ციხანას მიერ გაწეულ შრომას და სამუდამო პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას.

წავიდა ჩვენგან უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული, თავის ქვეყანასა და ახალგაზრდობაზე, მუსიკასა და სპორტზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან ურთიერთობის შესაძლებლობა.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

მხოლოდ ელვისებურ პარტიებში

მოსკოვში მოკლე მატჩში სწრაფ ჭადრაკში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ნაჯელ შორტი (ინგლისი) და მსოფლიოს ექსჩემპიონი ფიდეს ვერსიით ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი).

ორივე ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა. დაინიშნა ელვისებური პარტიები, სადაც უპირატესობა ინგლისელს ჰქონდა.

ტკაჩოვმა დაამარცხა ადამსი

კანში (საფრანგეთი) გაიმართა მატჩი (6 პარტია) სწრაფ ჭადრაკში. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე მაიკლ ადამსი (ინგლისი) და ყაზახეთიდან საფრანგეთში გადასახლებული ახალგაზრდა დიდოსტატი ვლადისლავ ტკაჩოვი, რომელიც სწრაფი თამაშის ჩინებულ სპეციალისტად ითვლება.

ტკაჩოვმა მოიგო 2 პარტია, ადამსმა — 1, სამი შეხვედრა ყაიმით დასრულდა. საბოლოო ანგარიშია 3,5:2,5 ტკაჩოვის სასარგებლოდ.

78 წლის გლიგორიჩი

იუგოსლავიის ვაჟთა ჩემპიონატში, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, 16 მონაწილე იყო, მათ შორის 10 დიდოსტატი. საინტერესო იყო, როგორ ითამაშებდა 78 წლის ვეტერანი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი სვეტოზარ გლიგორიჩი.

9-9 ქულით I-IV ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა დამლიანოვიჩმა, კოვაჩევიჩმა, საერთაშორისო ოსტატებმა ოსტოიჩმა და პიკულამ. მათ შორის მოეწყო დამატებითი შეჯიბრება. ჩემპიონი გახდა დამლიანოვიჩი, მეორეზე კოვაჩევიჩი გავიდა, მესამეზე კი ოსტოიჩი.

გლიგორიჩმა კარგად ითამაშა — მან 7,5 ქულით დაასრულა შეჯიბრება. 16 მონაწილე იყო იუგოსლავიის ქალთა ჩემპიონატშიც. აქ 12,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა რუსეთის ყოფილმა წარმომადგენელმა ირინა ჩელუშკინამ, რომელიც იუგოსლავიაშია გათხოვილი. მეორე ადგილზე 10 ქულით გავიდა ასევე ადრე რუსეთის ნაკრების წევრი სვეტლანა პრუდნიკოვა. ისიც იუგოსლავიაში იმავე მიზეზით აღმოჩნდა, როგორც ჩელუშკინა. 9,5-9,5 ქულით მომდევნო ადგილები დაიკავეს ბენდერაცმა, სტანკოვიჩმა და პეტროვიჩმა.

პროფესიული კრივის სამყაროში

რა თქმა უნდა, კინგის „ლუკმა“ გახდებოდა

ცნობილი პრომოუტერის დონ კინგის ხელშეკრულებას მსოფლიოს ახალი ჩემპიონის მძიმე წონაში WBC და IBF ვერსიებით ხასიმ რახმანთან სასამართლო სარჩელების ნიაღვარი მოჰყვა: ახალ გამომცხვარ ჩემპიონთან შეხვედრა სურთ ლენოქს ლიუისს, მაიკ ტაისონს და დავიდ ტუას.


დონ კინგი

ლიუისი, რომელმაც გამანადგურებელი დამარცხება განიცადა რახმანთან შეხვედრაში, კონტრაქტის კუთვნილ მატჩრევანშს ითხოვს ან 50 მილიონ $ კომპენსაციას. ტაისონს ბრძოლის უფლება აქვს წელსვე, როგორც №1 პრეტენდენტს WBC-ს ვერსიით, და სარჩელს 75 მილიონ დოლარს აფასებს. ტუა კი №1 პრეტენდენტია IBF-ს ვერსიით...

თითქოს საგანგებოდაა შექმნილი ასეთი „აწეწილი“ სიტუაცია 69 წლის ავანტიურისტ კინგისათვის, რომელსაც ვირტუოზულად შეუძლია თავის დაძვრენა კონკურენტებისაგან სასამართლო დარბაზებში. მან უკვე გადასცა რახმანს ხელმოწერილი ჩეკი 4,5 მილიონ დოლარზე და ჩანთა 500 ათასი დოლარით. ასე გამოიყურებოდა სიტუაცია, რომლისგანაც უარის თქმა შეუძლებელი იყო.

კინგის გეგმა გრანდიოზულ შოუს ითვალისწინებს. იგი 4 აგვისტოს შედგება პეკინში. კრივით არც თუ ისე განებივრებული ჩინელები ერთდროულად მსოფლიო პირველობის მძიმეწონოსანთა ორ მატჩს ნახავენ: რუი-ჰოლიფილდის (WBA) და რახმან-ნილსენისა (WBC/IBF), აქედან 35 წლის უსახელო დანიელი ბრაინ ნილსენი ნაკლებად აინტერესებს მაყურებელს, მაგრამ სპორტული მხარე სულაც არ ადარდებს კინგს, რამდენადაც მსოფლიოს ბედითაა შეშფოთებული.

ამერიკა-ჩინეთის ურთიერთდამოკიდებულების ღრმა კრიზისის მომენტში, რომელიც რეალურად ემუქრება მშვიდობას, — თქვა მშვიდობისმოყვარე „მოციქულმა“, — მინდა სიყვარულით დავაკავშირო ჩვენი ქვეყნები და სპორტული ფასეულობის პატივისცემის იმედი მაქვს...

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

18 მაისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ოვერტაიმი (19.25), ***რუსთავი-2.*** ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), *ESPN.* იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (23.30), კალათბურთი. ნბა. პლეი-ოფები (04.00). *EURPSPORT.* მოტორბოლა. გრან-პრი (15.30, 21.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (20.00, 0.30). *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „ვალენსია“ — „ლიდსი“ (16.30), ევროპის ფეხბურთი (19.45), ჰოლანდიის ჩემპიონატი (20.30), ჩემპიონთა ლიგა: „ბავარია“ — „რეალი“ (23.10), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.55). *НТВ плюс спорт.* კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (2.50, 1.15), ტაილანდური კრივი (19.20), სპორტული ცეკვები. პროფესიონალები (20.30).

19 მაისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: თბილისის „დინამო“ — თბილისის „ლოკომოტივი“ (18.00), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.45), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), *ESPN.* კალათბურთი. ნბა (07.00, 12.30, 13.00), ცხენოსნობა. დაიჯესტი 16.30, 05.30), ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი: პირდაპირი (19.00, 03.00). *EUROSPORT.* მარათონი. ბოსტონის მარათონი-2001 (13.30). მოტორბოლა. გრან-პრი (15.30, 3.45), ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი (0.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.15). *НТВ плюс футбол.* ჰოლანდიის (13.15), ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალების (15.45), გერმანიის (18.25), მსოფლიოს ფეხბურთის (22.35), იტალიის ან ესპანეთის (23.25, 1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა. *НТВ плюс спорт.* კალათბურთი. ნბა. პლეი-ოფი (11.40, 18.05), სპორტული ცეკვები (გრან-პრი (15.20), სპორტული ავტომანქანების წრიული რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.10), კრივი. დიდი რინგი (22.55).

20 მაისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2 სპორტული პროგრამა (19.20), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.10). *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის (08.00, 13.00, 23.30), იტალიის (21.30) ჩემპიონატები. კალათბურთი. ნბა (20.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (20.30), რაგბი. „რაგბის სამყარო“ (03.00). *EUROSPORT.* ძიუდო. ევრპის ჩემპიონატი. გადაცემა საფრანგეთიდან (1.00), *НТВ плюс футбол.* რუსეთის (13.15, 15.00), გერმანიის (15.40), იტალიის (17.25, 23.25), ჩემპიონთა ლიგის (19.35), ესპანეთის (20.25, 1.35), საფრანგეთის (22.45) ჩემპიონატები და მიმოხილვა. *НТВ плюс спорт.* ტაილანდური კრივი (1.30).

ჩოგბურთი. ჰამბურგის სუპერ ტურნირში წარმატებით განაგრძნობს ასპარეზობას ესპანელი ხუან კარლოს ფერერა. ამჯერად, მისი „მსხვერპლი“ გახდა ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი. ფერერამ ეს მატჩი ორ სეტში მოიგო — 6:4, 3:6.


სურათზე: ხუან კარლოს ფერერა

ჭადრაკი № 38

თარაზულად. 1. ფეხბურთში მომავალი მ/ჩ-ის ერთ-ერთი მასპინძელი ქვეყანა, 7. ფრანგი ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთელი, 8. ხალხური თამაშობა ჩვენში, 10. ოლიმპიური პრიზიორი, ქართველი ძალოსანი, 11. ერთ-ერთი მზარდი საფეხბურთო ქვეყანა აზიაში, 13. რაგბის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 17. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსანი ქალი, 20. ავტომრბოლთა შეჯიბრება, 21. იტალიის სერია A-ს საფეხბურთო კლუბი, 22. ცნობილი ვეტერანი ფინელი ჰოკეისტი, 24. პოლონეთის საფეხ. კლუბი, 25. იტალიის საფ. კლუბი.

შვეულად: 2. ნიჩბოსნობის სადგური, 3. ფრანგი ფეხბურთელი, რომელსაც უთამაშია თბილისში, 4. ზაფხულის, მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 2004 წელს, 5. სპორტული სარბიელი ანუ... 6. მატჩის ერთი ნახევარი, 9. ესპანეთის საფ. კლუბი, 12. ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი, 14. საქართველოს საფ. კლუბი, 15. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, 16. საფრანგეთის საფ. კლუბი, 18. არგენტინელი ფეხბურთელი, რომელმაც იტალიაში დაასრულა საფეხბურთო კარიერა, 19. მოკრივეთა არენა, 23. მძლეოსნური იარაღი.



№37 ჭროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 6. კლინსმანი, 7. ლახტი, 8. ტრამპლინი, 10. „პარმა“, 11. ლეიბი, 14. ტრიალი, 15. ურო, 16. კლასი, 19. „ტროლი“, 20. უნცია, 21. პაიკი, 27. ქეში. **შვეულად:** 1. ილი, 2. ანატომია, 3. სარმა, 4. ელინგი, 5. ატაცი, 9. სამორანო, 12. ივანოვი, 13. როი, 17. სეტი, 18. პი...

საჭადრაკო ამოცანა

რაინერ მინდაძე
I პრიზი, 1959 წ.



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ld5! მუქარა 2. ld3X.
1. ...f4 2. ld5X. 1. ...gf4 2. l:f4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, ბ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო ომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №6 (14) მაისი, 2001 წელი

გზა ევროპისკენ, ამჯერად კარატეთი

ევროპის ჩემპიონატის წინასწარი სამზადისი ნორმალური ტემპით მიმდინარეობს

11 მაისს საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ რიგით მეორე პრესკონფერენცია გამართა სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში, 2001 წლის 6-8 ოქტომბერს დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით, რომელიც ჩატარდება თბილისის სპორტის სასახლეში.

უნდა აღინიშნოს, რომ XXI საუკუნეში პირველი ასეთი მასშტაბის ჩემპიონატი, მითუმეტეს ევროპის ჩემპიონატი, პირველად კარატეში ტარდება. ყოველივე ეს კი მიგვანიშნებს კარატეს განვითარებაზე, მსოფლიოში და რაც მთავარია საქართველოში. „კარატე იქნება პირველი და იმედი იმისა, რომ ასეთი დონის ჩემპიონატები უამრავი ჩატარდება" - განაცხადა თენგიზ კიკნაძემ, რომელიც ამ ევროპის ჩემპიონატის სამუშაო კომიტეტის წევრია. აქვე აღნიშნეს, რომ ევროპის ჩემპიონატი მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს, რისთვისაც ფირმა „კავკაზ თრეველი" იზრუნებს, ყველა ორგანიზაციულ საკითხს მოაგვარებს, ხოლო ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებას კიდევ ერთხელ ამყარებს მისი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა, რომლის თავმჯდომარე ბატონი გიორგი ბარამიძეა, წევრები კი, ბატონები მიხეილ მაჭავარიანი ედვარდ სურმანიძე, დავით თევზაძე, ირაკლი მეძმარიაშვილი, ჯანო ბაგრატიანი, ვანო ზოდელავა, სოსო ალავიძე, ვლადიმერ ხოფერია და თამაზ დუმბაძეა. რაც შეეხება სამუშაო კომიტეტს არა ნაკლებ სოლიდურია, თავმჯდომარეობას თავად საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია გაუწევს, დანარჩენი შემადგენლობა კი, ასე გამოიყურება - ზურაბ ლეჟავა, თემურ რამიშვილი, თემურ ჯორჯაძე და თენგიზ კიკნაძე.

და ბოლოს ბატონმა კახა ბასილიამ კიდევ ერთხელ განაცხადა - „ეს ევროპის ჩემპიონატი საქართველოსთვის იქნება ის გზა, რომელთაც ევროპის განუყოფელი ნაწილი გახდება იგი, რაც საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის კურსს სრულად ეხმაურება. 10 ივნისს კი კიდევ ერთხელ გვესტუმრება მსოფლიო შოტოკან კარატე დოს ფედერაციის შეფ ინსტრუქტორი ჰიტოში კასუია".

მაშ ასე, უფრო და უფრო ცხოველდება მომავალი ევროპის ჩემპიონატის წინასწარი სამზადისი.

ვულოცავთ

კიდევ ერთი მეგობარი, კიდევ ერთი შავი ქამარი -

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში



გუშინ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის გადაწყვეტილებით, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს - ბატონ ირაკლი მეძმარიაშვილს მიენიჭა მესამე დანი (შავი ქამარი). აქვე შეგახსენებთ, რომ ბატონი ირაკლი მეძმარიაშვილი წლების განმავლობაში კარატეს „პიონერთან" -ზურაბ ლეჟავასთან ვარჯიშობდა, რის შედეგადაც ეს გადაწყვეტილება სრულიად სამართლიანია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტებისა თუ ახლო მეგობრების რიგს კიდევ ერთი საკმაოდ დიდი თანამდებობის პირი შეემატა, როგორც კარატეს ოსტატი, მისი მოყვარული და თანამდგომი.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ფედერაციისთვის ეს მოვლენა უკვე აღარც ისე იშვიათია და ტრადიციადაც კი იქცა. მაშ ასე, საქართველოს კარატისტებს კიდევ ერთი ერთგული მეგობარი შეემატა, თუმცა არც აქამდე იყო გულგრილი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი მინისტრი, რომელმაც უკვე არაერთხელ გამოიჩინა თანადგომა ქართველი კარატისტებისთვის.

P.S. სულ მალე, 4 ივნისს, თბილისს კიდევ ერთხელ ესტუმრება მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ლეგენდარული ოსტატი, ამავე ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი ჰიტოში კასუია, რომელიც პირადად გადასცემს მესამე დანის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს და შავ ქამარს.

საუკეთესო კიმონოები საუკეთესო ფასებში

საუკეთესო ხარისხის კარატეს კიმონოები ირანიდან, ყველაზე დაბალ ფასებში, ფართო ასორტიმენტით.

მსურველებმა დაწვრილებით ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალურ ოფისს.

მისამართი: დიმიტრი უზნაძის ქუჩა №6.

ტელ: 96-31-89.

ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ - ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ

კიდევ ერთი ჩემპიონატი ჩატარდა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ეგიდით, ამჯერად იმერეთში, ტრადიციული - „იმერეთის ჩემპიონატი", რომელიც 2001 წლის 4 მაისს გაიმართა ქალაქ ქუთაისში. ეს ჩემპიონატი უკვე რამოდენიმე წელია რაც ტარდება. შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენებმა თავი გამოიჩინეს მაღალი ტექნიკის შესრულებითა და მებრძოლი სულით, რაც იმერეთის რეგიონის კარატეს ფედერაციის დიდი დამსახურებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატზე გამოვლინდა არაერთი გვარ-სახელები, რომლებზედაც იმედის დამყარება შეიძლება, დიდ სპორტულ სარბიელზე. მაშ ასე, ველოდოთ რიონისპირეთიდან მომავალ ჩემპიონებს.

ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲛᲘᲢᲔ (ᲕᲐᲟᲔᲑᲘ)

საპრიზო ადგილები	7 წლამდე	8-9 წელი	10-11 წელი	12-13 წელი	14-15 წელი	16-17 წელი	18-21 წელი
1	იმნაძე ამირანი	მირცხულავა ნიკა	სანიკიძე გივი	ტყებუჩავა დათო	ბერულავა ბესო	მაღლაკელიძ ე მალხაზი	ადამიანი გარსევან
2	ნოსოევი გიორგი	ჩაკვეტაძე ბექა	ქავთარაძე დათო	კუხიანიძე ბექა	ფუტკარაძე რომან	დუმბაძე რომან	გოლოშვილი გიორგი
3	ხუცინაშვილი ლევანი	ბობოხიძე კონსტანტინე	ტონოგონიანი	ხაჟომია გიორგი	არახამია ბექა	თაბიკაშვილი არჩილი	ჟვანია დავით

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ლევან გორელაშვილი

14.11.1987 წ.

I დანის მფლობელი (W.S.K.F.)

1. 15. 06. 1997 w. - აჭარის ღია ჩემპიონატი III ადგილი (კარატე).

2. 03.10.1997 წ. - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი - I ადგილი (კუმიტე).

3. 04.04. 1998 წ. საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის ჩემპიონატი იუნიორებში და კადეტებში - I ადგილი (კუმიტე).

4. 04. 10. 1998 წ. - ჟ. შარტავას სახელობის ტურნირი, II ადგილი (კატა).

5. 21. 11. 1998 წ. - საქართველოს ჩემპიონატი კარატე-დოში I ადგილი (კუმიტე).

6. 07. 03. 1999 წ. - საერთაშორისო ჩემპიონატი კარატე-დოში II ადგილი (კუმიტე) „ართვინის თასზე" (თურქეთი).

7. 25. 04. 1999 წ. - თბილისის ღია პირველობა მოზარდთა შორის - I ადგილი (კუმიტე).

8. 09. 05. 1999 წ. - საერთაშორისო ჩემპიონატი კარატე-დოში I ადგილი (კუმიტე).

9. 27. 06. 1999 წ. - საერთაშორისო ჩემპიონატი „კავკასიის თასზე" - I ადგილი (კუმიტე).

10. 19. 09. 1999 წ. - საზოგადოება „მაქაბის" ტურნირი კარატე-დოში I ადგილი (კუმიტე), I ადგილი (კატა).

11. 24.10.1999 წ. - ჩემპიონატი „თბილისის თასზე" - I ადგილი (კუმიტე).

12. 26. 12. 1999 წ. - აჭარის ღია ჩემპიონატი დევიზით „მომავალი ოლიმპიელი" - I ადგილი (კუმიტე), II ადგილი (კატა).

13. 26.02. 2000 წ. - საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი „მხედრიონის თასზე" - I ადგილი (კუმიტე).

14. 25.06.2000 წ. - საქართველოს ჩემპიონატი კარატე-დოში I ადგილი (კუმიტე). II ადგილი (კატა).

15. 15. 28. 12. 2000 წ. - საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში - I ადგილი (კატა) II ადგილი (კუმიტე).

16. 01. 04. 2001 წ. - საზოგადოება „მაქაბის" ღია ტურნირი კარატე-დოში - I ადგილი (კუმიტე).

17. 29. 04. 2001 წ. - საქართველოს ჩემპიონატი კარატე-დოში - I ადგილი (კუმიტე).

ლევან გორელაშვილი ვარჯიშობს ქ. თბილისის 53-ე საშ. სკოლის ბაზაზე, რომელიც არის საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური სკოლა. მისი ხელმძღვანელი და მასწავლებელია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, მე-4 დანის მფლობელი (W.S.K.F.), უნიკალური პირველობა, უძლიერესი კარატისტი, კეთილსინდისიერი პედაგოგი - ბესიკ ხუციშვილი, რომელიც საუკეთესოდ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ლევან გორელაშვილი არის ქ. თბილისის 67-ე საშ. სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲐᲢᲔ-ᲓᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ

საქართველოს ჯარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საჯანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ ჯომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, ჯლუბებს, ტრადიციული ჯარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს. მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.
საქართველოს ჯარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

სტუდენტური სპორტი

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲐᲢᲔ-ᲓᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ". ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ-ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი" - გაახალგაზრდავდით!

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲐᲢᲔ-ᲓᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ